წლიური ანგარიში

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, 2015

2016

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ავტორი: თამარ ავალიანი
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი
თარგმანი: ნინო ტლაშაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხელისუფლება კი პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე.

მისამართი:
0160 თბილისი , მ. ქანთარიას ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: http://www.humanrights.ge ; http://www.hridc.org

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას, შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.

სარჩევი

1. შესავალი 5
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცესი 6
3. სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღა“ და თანმდევი პროცესები 7
4. შსს-სა და პროკურატურის რეფორმა და სხვა საკანონმდებლო აქტები... 10
5. მოწმეთა დაკითხვის წესი და მასთან დაკავშირებული პრობლემები 13
6. მარიხუანას დეკრიმინალიზაციის კანონპროექტი 14
7. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 15
8. საკონსტიტუციო სარჩელი მოსმენებთან დაკავშირებით 15
9. ადამიანის უფლებათა ცენტრის საკონსტიტუციო სარჩელი საარჩევნო ოლქებთან დაკავშირებით და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 16
10. გიორგი უგულავას საკონსტიტუციო სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება და მისი თანმდევი მოვლენები..... 18
11. საქართველოს მთავარი პროკურორის არჩევა 20
12. მთავარი პროკურატურის ახალი დეპარტამენტი 20
13. პენიტენციური სისტემა 21
14. ქალი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულები 24
15. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - სიახლე სასამართლო სისტემაში 25
16. პოლიციელთა მიერ განხორციელებული ცემისა და ზეწოლის ფაქტები 26
17. უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები რეგიონებში 28
18. ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტი 28
19. გენერალური ინსპექციების არაეფექტური მუშაობა 29
20. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი 30
21. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გამოძიება 32

22. მედიის თავისუფლება და „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენები 35
23. რელიგიურ უმცირესობათა უფლებები 39
24. ლგბტ პირთა უფლებები 41
25. შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა 43
26. შშმ მსჯავრდებულთა პრობლემები 44
27. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და გამოძიების დაწყება 44
28. შეწყალების უფლებამოსილების კვლევა 46
29. სიძულვილის ენის გამოყენება არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ 48
30. საკუთრების უფლების ხელყოფის განსაკუთრებული შემთხვევა 49
31. უცხოელთათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული პრობლემები 50
32. ვიზალიბერალიზაცია და მისი სიკეთეები 51
33. შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება 51
34. 13 ივნისის ტრაგედია 52
35. მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტა 53
36. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები 53
37. საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ 54
38. საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 54

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოაჩენს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას საქართველოში 2015 წელს და ასევე შეიცავს 2016 წლის დასაწყისის მოვლენებს. ანგარიში ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოში მოქმედი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს.

ანგარიში მოიცავს ძირითად ტენდენციებს ადამიანის უფლებათა ისეთ სფეროებში, როგორიც არის: საკანონმდებლო ცვლილებები, მსჯავრდებულთა მდგომარეობა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები, პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება და გადაცდომები, მედიის თავისუფლების საკითხები, შშმ პირთა მდგომარეობა, უმცირესობების მდგომარეობა და ა.შ

2015 წლის განმავლობაში, გაგრძელდა რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტ პირების უფლებების შელახვის ფაქტებზე არასათანადო რეაგირების ტენდენცია სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. დაუსჯელი რჩება ამ ჯგუფების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის სხვადასხვა ფაქტები 2015 წლის განმავლობაში, რითაც სახელმწიფო არღვევს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს უმცირესობათა სათანადო დაცვა და უსაფრთხოება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზება დღემდე წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას. არასათანადო და არაეფექტური საკანონმდებლო ბაზა, გარემოში არსებული ბარიერები, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები და განწყობები, განათლებასა და რეაბილიტაციაზე წვდომის დაბალი ხარისხი - აღნიშნული დაბრკოლებები იმ პრობლემათა არასრული ჩამონათვალია, რომელიც აბრკოლებს შშმ პირების სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში.

2015 წელს დაფიქსირდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მედიაზე სავარაუდო ზეწოლის ცალკეული შემთხვევები.

სახელმწიფოს წინაშე მდგარ სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება, უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენების გადახედვა, პირადი ცხოვრების უფლების დაცვა, წამების მსხვერპლი პატიმრების სამართლებრივი რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია.

2015 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ დაფიქსირდა პოლიციელთა მიერ მოქალაქეთა სავარაუდო ცემისა და სასჯელაღსრულების დაწებულებებში არასათანადო მოპყრობის ფაქტები.

დღემდე პრობლემად რჩება მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრის მექანიზმის შემუშავების განუსაზღვრელი ვადით გადადება.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცესი

2015 წლის 17 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ პარლამენტს ნინო გვენეტაძის კანდიდატურა წარუდგინა. საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატურა საკანონმდებლო ორგანომაც მოიწონა, რომელმაც 2015 წლის 20 მარტს ნინო გვენეტაძე 10 წლით განამწესა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ[1].

საქართველოს სახალხო დამცველმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის არჩევა დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ხანგრძლივი და რთული პროცესი წარიმართა დაინტერესებულ მხარეთა მეტი ჩართულობისა და გამჭვირვალობის ფონზე, რაც მას დადებითად გამოარჩევს წინა შემთხვევებისაგან[2].

საქართველოს პრეზიდენტისათვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურების წარდგენის პროცესი გამჭვირვალედ და ინკლუზიურად წარიმართა. პროცესი გამოირჩეოდა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების მაღალი ჩართულობით. პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენამდე პრეზიდენტმა კონსულტაციები გამართა საპარლამენტო უმრავლესობასთან და უმცირესობასთან, ასევე იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მართლმსაჯულების საკითხებზე მუშაობენ[3]. პრეზიდენტმა ორგანიზაციებს და სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს მოუწოდა, მისთვის შეეთავაზებინათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურები.

საქართველოს პრეზიდენტს ნინო გვენეტაძის კანდიდატურა შესთავაზა საინიციატივო ჯგუფმა, რომელშიც რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია იყო გაერთიანებული[4].

2015 წლის 10 თებერვალს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა იმ 28 კანდიდატის სია, რომლებიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელეს სხვადასხვა სუბიექტებმა, მათ შორის - პარტიებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სამეცნიერო წრეებმა[5].

ინიციატორი არასამთავრობო ორგანიზაციები მიესალმნენ პრეზიდენტის მიერ პარლამენტში უზენაესი სასამართლოს კანდიდატურად ნინო გვენეტაძის

---

[1] ინფორმაცია ვრცლად, იხ.: http://www.civil.ge/geo/article.php?id=29241

[2] იხ: http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saxalxo-damcvelis-gancxadeba-uzenaesi-sasamartlos-tavmdjdomaris-archevastan-dakavshirebit.page

[3] იხ: http://civil.ge/geo/article.php?id=29028; http://civil.ge/geo/article.php?id=29049

[4] ადამიანის უფლებათა ცენტრი, საზოგადოებრივი დამცველი, ახალგაზრდები სამართლიანობისთვის, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი, მედიის ინსტიტუტი და იურისტ ქალთა კავშირი.

[5] ინფორმაცია ვრცლად, იხ: http://civil.ge/geo/article.php?id=29107

წარდგენას[6]. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა, ნინო გვენეტაძემ, თავის მხრივ, რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა გამართა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისე სამეცნიერო წრეებთან.

3. სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღა“ და თანმდევი პროცესები

2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ განსახორციელებლად. მესამე ტალღის რეფორმა შეეხებოდა სასამართლოს თავმჯდომარეთა არჩევითობის წესს, საქმეთა ელექტრონული განაწილების შემოღებას, მოსამართლეთა მივლინების მექანიზმის დახვეწას, სასამართლოს სისტემაში მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის წესის ცვლილებას, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობის კანონით განსაზღვრას, დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიიღების წესს. დისციპლინურ სამართალწარმოებაში მთავარი სიახლე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური იყო. ცვლილებების თანახმად, აღნიშნული სამსახური დისციპლინური გამოძიების ორგანოს წარმოადგენდა[7].

იუსტიციის სამინისტროს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს მოსამართლეთა კორპუსისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნაწილი შეეწინააღმდეგა და დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი არასასურველ მოსამართლეთა დასჯის მექანიზმად მიიჩნია[8].

2015 წლის 15 ივლისს, კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“[9] განაცხადა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ბუნების და მასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ახალი მექანიზმი, ინსპექტორის სახით, დაცული იყოს

---

[6] იხ. ერთობლივი განცხადება: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18148&lang=geo

[7] იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებათა პაკეტი მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ეტაპის განსახორციელებლად: http://www.supremecourt.ge/information23/

[8] იხ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განმარტება: http://www.interpressnews.ge/ge/samartali/332451-nino-gvenetadze-damoukidebeli-inspeqtoris-instituti-tsarsulshi-chadenili-disciplinuri-gadacdomebis-shemotsmebas-ar-ithvalistsinebs.html?ar=A ;

[9] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ აერთიანებს 35-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას. ადამიანის უფლებათა ცენტრი არის კოალიციის მმართველი კომიტეტის წევრი ორგანიზაცია.

არასათანადო გავლენებისგან და კანონით იყოს უზრუნველყოფილი მისი დამოუკიდებლობა[10].

ჯერ კიდევ 2015 წლის 5 მაისს, სასამართლო რეფორმის კანონპროექტებთან დაკავშირებით კოალიციამ პირველადი შენიშვნები და მოსაზრებები წარადგინა. ასევე, მოამზადა კომენტარები იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტებზე, რომლებიც სასამართლო რეფორმას ისახავს მიზნად. კომენტარები ეხება შემდეგი კანონების ცვლილებების პროექტებს: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, “იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ” საქართველოს კანონი, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი. კოალიციამ შენიშვნები მიაწოდა იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს. კომენტარები შეეხებოდა მოსამართლეთა შერჩევის, დაწინაურების, საქმეთა განაწილების, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მიღებისა და დისციპლინური წარმოების საკითხებს[11].

2015 წლის განმავლობაში, არასამთავრობო სექტორი აქტიურად აკვირდებოდა სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობას, მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნისა და დაწინაურების პროცესს და კრიტიკას გამოთქვამდა მოსამართლეთა კონკურსის გარეშე დანიშვნა/დაწინაურების ბუნდოვანი კრიტერიუმების არსებობასთან დაკავშირებით. ორგანიზაციების შეფასებით, მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობა უმნიშვნელოვანესია მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის უზრუნველსაყოფად[12].

2015 წლის 18 აგვისტოს, კოალიციამ ,,დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის დახურვა უარყოფითად შეაფასა და შერჩევის ბუნდოვანი პროცედურა გააკრიტიკა[13].

კოალიციამ ასევე, უარყოფითად შეაფასა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2015 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება

---

[10] განცხადება სრულად, იხ.: http://www.coalition.org.ge/article_files/239/Coalition%20Opionion.ThirdWave.letterhead_final.ge.pdf

[11] იხ. კოალიციის პირველადი შენიშვნები და მოსაზრებები სასამართლო რეფორმის კანონპროექტებთან დაკავშირებით: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18319&lang=geo

[12] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18527&lang=geo , ასევე კოალიციის მიმართვა - http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18429&lang=geo

[13] კოალიციის მიმართვა იხ.: http://www.coalition.org.ge/ge/article245

თბილისის სააპელაციო სასამართლოში შვიდი მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის შესახებ. კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული პროცესი არა თუ არ ამაღლებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ, პირიქით - კიდევ ერთხელ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს როგორც საბჭოს მოქმედების მიზნებსა და მოტივებს, ასევე ზოგადად სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების წარმატებას[14].

იუსტიციის საბჭოს მიერ მოსამართლეთა დაჩქარებული წესით, უკონკურსოდ დანიშვნის პროცესი უარყოფითად შეაფასა საქართველოს სახალხო დამცველმა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საბჭოს წევრები პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მათ მიერ აღებულ ვალდებულებას, რომლის მიმართაც საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებში უკვე არსებობს ლეგიტიმური კითხვები და წარმართონ პროცესი ისე, რომ მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები გარეშე დამკვირვებლისათვის იყოს ობიექტური და დასაბუთებული[15].

2015 წლის 24 დეკემბერს კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მოითხოვა 61 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის უსამართლო პროცესის შეჩერება და მწვავე კრიტიკა გამოთქვა ***თბილისის სააპელაციო სასამართლოში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ლევან მურუსიძის უვადოდ, პირველ ეტაპზე სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნასთან დაკისრებით***[16]***.***

ლევან მურუსიძის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ არჩევას პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არჩეულმა სამმა არამოსამართლე წევრმა მხარი დაუჭირა. ლევან მურუსიძეს მხარი არ დაუჭირა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ხოლო პრეზიდენტის მიერ საბჭოში დანიშნულმა წევრმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა.

არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება მიზნად არ ისახავდა შეეფასებინა მოსამართლეობის კანდიდატების შესაბამისობა დადგენილ კრიტერიუმებთან და პროცესი წარემართა სტანდარტიზებული წესით, მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი მოთხოვნისა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ გამოაქვეყნა მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების ბიოგრაფიები, ხშირი იყო მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესზე საბჭოს ცალკეული წევრების გამოუცხადებლობის შემთხვევები, საბჭოს წევრებს მოსამართლეობის კანდიდატების უმრავლესობისათვის არ დაუსვამთ ისეთი კითხვები, რომლებიც გამოავლენდა კანდიდატების დამოკიდებულებას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სისტემის მიმართ,

---

[14] კოალიციის გამოხმაურება იხ.: http://www.coalition.org.ge/ge/article252

[15] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, იხ.: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-iusticiis-umagles-sabchoshi-mimdinare-mosamartleta-dawinaurebis-process-exmaureba.page

[16] კოალიციის მიმართვა იხ.: http://www.coalition.org.ge/article_files/259/Appointments%20Statement.ge.pdf

ასევე დამოკიდებულებას დემოკრატიული ღირებულებების, თავისუფლებისა და თანასწორობის იდეებისადმი, იუსტიციის უმღლესი საბჭოს მდივანი იმადროულად წარმოადგენდა მოსამართლეობის კანდიდატს, სადაც იკვეთებოდა ინტერესთა კონფლიქტი[17].

ლევან მურუსიძის დანიშვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ მწვავედ გააკრიტიკა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, რომელმაც განაცხადა: *„სანდრო გირგვლიანის საქმის მოსამართლე ლევან მურუსიძის (რომელიც სამოქალაქო საზოგადოების თვალში აღიქმებოდა სააკაშვილის რეჟიმის ერთ–ერთ საყრდენად) მხადაჭერამ მისი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ არჩევის თაობაზე, კიდევ ერთხელ ცხადყო ქვეყანაში კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული ღირებულებების უგულებელყოფა იმ პირთა მიერ, ვისაც აკისრიათ ვალდებულება იდგნენ ამ ღირებულებათა დაცვის სადარაჯოზე“*[18].

4. შსს-სა და პროკურატურის რეფორმა და სხვა საკანონმდებლო აქტები

არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ინტერესი და აქტიურობა ახლდა პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტს „უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“. კანონპროექტი შეეხებოდა უშიშროების სამსახურების შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოყოფას. კანონპროექტის მიხედვით, უშიშროების სამსახურებს უნარჩუნდებოდათ სამართალდაცვითი, საგამოძიებო და პრევენციული ფუნქციები. ასევე, ეძლეოდათ სპეციალური საპოლიციო საშუალებების გამოყენების უფლება, მოქალაქეთა თავისუფლებაში უშუალო და პირდაპირი ჩარევის შესაძლებლობა.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიჩნიეს, რომ კანონპროექტის არსებული ფორმით მიღება მნიშვნელოვან რისკებს შეიცავდა და ქმნიდა როგორც ფუნქციათა დუბლირების, ისე უშიშროების სამსახურების მიერ უფლებამოსილებების არამართლზომიერი გამოყენების შესაძლებლობას[19].

„უსაფრთხოების შესახებ“ კანონონპროექტთან დაკავშირებით, აქტიურ პოზიციას აფიქსირებდა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ და მასში გაერთიანებული არასამთავრობო ორგანიზაციები. კოალიცია აქტიურად გამოეხმაურა საქართველოს მთავრობის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის ფარგლებში მომზადებულ კანონპროექტთა პაკეტს, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო უსაფრთხოების

---

[17] კოალიციის განცხადება იხ.: http://www.coalition.org.ge/ge/article258

[18] იხ. მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი: http://gba.ge/news/2405/

[19] არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა იხ.: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18335&lang=geo

სამსახურის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოყოფას და მისგან გამომდინარე ცვლილებებს[20].

კოალიცია მიესალმა საქართველოს მთავრობის მზაობას, მოახდინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელთ არსებული ჭარბი ძალაუფლების დეკონცენტრაცია და შექმნას ინსტიტუციურად და ფუნქციურად გამიჯნული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. თუმცა, აღინიშნა, რომ ნაცვლად ფრაგმენტული ხასიათის ცვლილებებისა, აუცილებელია, შემუშავდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების ერთიანი კონცეფცია, რომელიც დაეფუძნება სისტემის წინაშე მდგომი გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსესუსურ ხედვას[21].

პარლამენტმა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების კანონპროექტთა პაკეტი, რომელმაც ძირითადად, არ გაითვალისწინა კოალიციის მოსაზრებები შსს-ს სისტემის გამჭვირვალობასთან, დეპოლიტიზებასთან და ანგარიშვალდებულების გაზრდასთან დაკავშირებით. შსს-ს რეფორმა ძირითადად ეხებოდა შსს-ს სისტემიდან უსაფრთხოების სამსახურის ავტომატურ გამოყოფას და არა შსს-ს ჭარბი ძალაუფლების რეალურ დეკონცენტრაციას. მიუხედავად არასამთავრობო სექტორის მწვავე კრიტიკისა, პარლამენტმა მაინც მიიღო შეთავაზებული კანონპროექტების პაკეტი.

2015 წლის 18 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო პროკურატურის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი, რომელსაც ხელისუფლებამ პროკურატურის სისტემის რეფორმა უწოდა[22].

არასამთავრობო სექტორი არაერთხელ გამოეხმაურა აღნიშნულ პროცესს და საჯაროდ წარადგინა დასკვნები კანონპროექტზე. კოალიცია აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მთავარი პროკურორის შერჩევა/დანიშვნის და მისი განთავისუფლების ახალი წესის დადგენა არ არის საკმარისი პროკურატურის სისტემის რეფორმირებისათვის და შესაბამისად, მიმდინარე პროცესს ვერ უწოდებდა პროკურატურის სისტემის რეფორმას. ასევე, კოალიციამ უარყოფითად შეაფასა კანონპროექტის პირვანდელი ვერსია, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა მთავარი პროკურორის არჩევის პროცესის დეპოლიტიზირებას[23] .

მოგვიანებით, იმავე შინაარსის დასკვნა შეიმუშავა ვენეციის კომისიამ, სადაც აღინიშნა, რომ მართალია, პროკურატურის რეფორმირების პროცესი სწორი

---

[20] კოალიციის მიმართვა იხ.: http://www.coalition.org.ge/ge/article232

[21] კოალიციის მოსაზრებები შსს-ს რეფორმის თაობაზე იხ. დოკუმენტში: http://www.coalition.org.ge/article_files/232/Comments%20on%20the%20Ministry%20of%20Internal%20Affairs%20Reform%20Concept.pdf

[22] ინფორმაცია და კოალიციის მოსაზრებები იხ. ლინკზე: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18389&lang=geo

[23] იხ. კოალიციის მიმართვა: http://www.coalition.org.ge/ge/article249/-

მიმართულებით მიდის, მაგრამ წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ უზრუნველყოფს პროკურატურის სისტემის სრულ დეპოლიტიზებას[24].

2015 წლის სექტემბერში „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით შეიცვალა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურები.

მთავარი პროკურორის შერჩევა/დანიშვნის პროცესში მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა ახლადშექმნილ ორგანოს - საპროკურორო საბჭოს, რომელიც 15 წევრისგან შედგება და რომლის შემადგენლობაშიც შედიან იუსტიციის მინისტრი, პარლამენტის 2 წევრი, საერთო სასამართლოების 2 მოსამართლე, სამოქალაქო/სამეცნიერო სფეროს 2 წარმომადგენელი და 8 პროკურორი. საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პროკურორთა კონფერენცია, რომელიც აერთიანებს პროკურატურაში მომუშავე ყველა პროკურორსა და გამომძიებელს. სწორედ კონფერენციის უფლებამოსილებას წარმოადგენს საპროკურორო საბჭოს წევრი 8 პროკურორის შერჩევა.

საპროკურორო საბჭოს და პროკურორთა კონფერენციის, როგორც კოლეგიური და წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნა პროკურატურის სისტემაში დადებითად შეფასდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მათი მოსაზრებით, ეს არის მნიშვნელოვანი მექანიზმი პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდისთვის, ინდივიდუალური პროკურორის გაძლიერებისა და ანგარიშვალდებული, საზოგადოების მაღალი ნდობით აღჭურვილი პროკურატურის სისტემის ჩამოყალიბებისთვის[25].

2015 წლის 19-21 ოქტომბერს, გამართულ საქართველოს პროკურორთა პირველ კონფერენციაზე საპროკურორო საბჭოს 8 პროკურორი წევრი შეირჩა[26]. საპროკურორო საბჭოს წევრების არჩევის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი დახურულ ვითარებაში, პროკურორთა კონფერენციის მიღმა წარიმართა, რითაც არასამთავრობო ორგანიზაციებს პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა შეეზღუდათ[27].

საპროკურორო საბჭოს წევრების არჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. სახალხო დამცველის განმარტებით, რეკომენდაციებში ნათქვამი იყო, რომ საბჭოს წევრთა პოლიტიზირების თავიდან ასაცილებლად, საბჭოს შემადგენლობაში

---

[24] დოკუმენტი იხ: http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2015)014-e ; ასევე - კოალიციის გამოხმაურება: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18382&lang=geo

[25] იხ. პროკურორთა პირველი კონფერენციის შეფასება: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18502&lang=geo

[26] იხ. საქართველოს პროკურატურის განცხადება: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=777

[27] იხ.: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18502&lang=geo

მაქსიმალურად შეზღუდული უნდა ყოფილიყო როგორც პარლამენტარების, ისე იუსტიციის მინისტრის მონაწილეობა[28].

5. მოწმეთა დაკითხვის წესი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

2015 წლის ივლისში, იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა კანონის პროექტი მოწმეთა დაკითხვის წესის რეფორმირების შესახებ. თუკი აქამდე მოწმეთა დაკითხვის 2009 წელს მიღებული წესის ამოქმედების გადავადება ხდებოდა, ამჯერად ხელისუფლება კომპრომისული ვერსიის შემოთავაზებას შეეცადა. ცვლილებებით, მოწმის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის შესაძლებლობა ექნება მხოლოდ ბრალდების მხარეს ისე, რომ დაცვის მხარე არ დაესწრება ამ პროცესს. დაცვის მხარეს არ ექნება მოწმის სანდოობის შემოწმების ეფექტური ბერკეტები. ერთხელ დაკითხული მოწმე შეზღუდულია პირველად მიცემული ჩვენებით, რომლის შეცვლაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს განზრახ ცრუ, ან არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის. მაგისტრატთან მოწმის სავალდებულო დაკითხვა განხორციელდება.

ცვლილებები ეფუძნება საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილ სპეციალური ჯგუფის მოსაზრებებს. ამ ჯგუფის შექმნა დაკავშირებული იყო 2009 წელს მიღებული მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის არაერთ გადავადებასთან და მისი საქმიანობის მიზანს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისი მოწმეთა დაკითხვის წესის მოდელის იდენტიფიცირება. თუმცაღა, ხელისუფლების მხრიდან არც ერთ ეტაპზე არ მომხდარა იმის დასაბუთება, მოწმის დაკითხვის გადავადებული წესი რა ნაწილში არ შეესაბამება საუკეთესო გამოცდილებას[29].

არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებით, შემოთავაზებული კანონის პროექტი არ შეესაბამება საქართველოში არსებულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას და, ზოგადად, მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებს. ხელისუფლების მხრიდან შემოთავაზებული ხედვა სრულად არ ასახავს იმ პრობლემებს, რაც მოწმის დაკითხვის მოქმედ წესს უკავშირდება და რაც მოგვარებას საჭიროებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების განმარტებით, კანონპროექტი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სულისკვეთებას და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მოქმედ სისტემას. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებები თვისობრივად შეუთავსებელია

[28] ინფორმაციისათვის, ვრცლად, იხ. საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტი: http://1tv.ge/ge/news/view/109404.html

[29] ვრცლად, იხ.: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18428&lang=geo

მხარეთა თანასწორობაზე დაფუძნებულ შეჯიბრებითობის პრინციპთან. ამ პირობებში ჯვარედინი დაკითხვის უფლება ფიქტიურ ხასიათს ატარებს და მხარეთა თანასწორობის მიღწევა შეუძლებელი ხდება. ამასთან, მნიშვნელობას კარგავს საქმის არსებითი განხილვის ეტაპი და ამ ეტაპზე მოწმის სანდოობის შემოწმება (უშუალობის პრინციპი), რამდენადაც მოწმეს სავალდებულო წესით უკვე გაცხადებული აქვს საკუთარი ჩვენება, რომლის შეცვლაც მისთვის კონკრეტულ სამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირდება[30].

არასამთავრობო სექტორის შეფასებით, იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ცვლილებებით შემოდის საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისთვის პრინციპულად შეუთავსებელი ელემენტები, უარესდება დაცვის მხარის სამართლებრივი მდგომარეობა და ზოგადად, საფრთხე ექმნება მხარეთა შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს[31].

იუსტიციის სამინისტროს მიერ შეთავაზებული მოწმის დაკითხვის ახალი წესი უარყოფითად შეაფასა საქართველოს სახალხო დამცველმა. მისი განმარტებით, ახალი წესი არსებითად ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობის პრინციპს. ბრალდებისა და დაცვის მხარისთვის არსებითად თანასწორი პირობების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამართლიანად და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პრინციპების შესაბამისად წარმართვისთვის, რასაც შეთავაზებული წესი ვერ უზრუნველყოფს[32].

6. მარიხუანას დეკრიმინალიზაციის კანონპროექტი

2015 წლის 30 ივნისს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე დეპუტატმა გოგა ხაჩიძემ მარიხუანას დეკრიმინალიზაციის კანონპროექტი წარადგინა. ხაჩიძის განცხადებით, მარიხუანას მოხმარებისთვის ადამიანი სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ უნდა მიეცეს. დეპუტატი მიიჩნევს, რომ კანონი უფრო ლიბერალური უნდა გახდეს. გოგა ხაჩიძის თქმით, მარიხუანას მოხმარებისთვის სანქციების შემსუბუქება არ გულისხმობს მის ლეგალიზაციას. კანონპროექტის ავტორის განმარტებით, კანონ-პროექტი ითვალისწინებს მარიხუანას მხოლოდ მცირე რაოდენობით მოხმარების დეკრიმინალიზაციას და ეს არ შეეხება მის შენახვასა და გავრცელებას[33].

გოგა ხაჩიძის მიერ ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, საუბარია სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის დეკრიმინალიზაციაზე.

---

[30] იხ. იქვე.

[31] იხ. კოალიციის შეფასება: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18551&lang=geo

[32] სახალხო დამცველის შეფასება, იხ.: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-exmianeba-gamodziebis-etapze-mowmeta-dakitxvis-shemotavazebul-wess.page

[33] ვრცლად, იხ. სტატია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18356&lang=geo

კანონპროექტით, ამ ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, მცირე რაოდენობით, უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას მისი განმეორების შემთხვევაშიც. მარიხუანას დეკრიმინალიზაციის კანონპროექტი საპარლამენტო განხილვებზე ჩავარდა. იგი დღემდე არ არის მიღებული.

7. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელეს არაკონსტიტუციურად მიაჩნდა ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) საფუძველზე, პირადი მოხმარების მიზნით დიდი ოდენობით მარიხუანის შეძენა, შენახვისთვის პირი ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული სანქცია იყო ჩადენილი ქმედებისათვის შეუსაბამოდ მძიმე, არაპროპორციული და შესაბამისად, სასტიკ, პატივისა და ღირსების შემლახველ სასჯელს წარმოადგენს.

საკონსტიტუციო სასამართლომ, 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მიიჩნია, რომ დაუშვებელია პირადი მოხმარების მიზნით მარუხუანას შეძენა-შენახვისთვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარუხუანას ოდენობა (70 გრამამდე), რომლის შეძენა/შენახვაში ედებოდა ბრალი მოსარჩელეს, თავისთავად არ მიუთითებდა გასაღების მიზანზე ან გასაღების რეალური საფრთხის არსებობაზე. ამდენად, სასამართლოს აზრით, აღნიშნული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არაჰუმანურ, სასტიკ და ღირსების შემლახველ მოპყრობას წარმოადგენს[34].

8. საკონსტიტუციო სარჩელი მოსმენებთან დაკავშირებით

2015 წლის 15 აპრილს, კამპანიაში „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ" მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა ე.წ. ფარული მოსმენების კანონთან

[34] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაცია: http://www.constcourt.ge/ge/news/2015-wlis-24-oqtombers-sakonstitucio-sasamartlom-miigo-gadawyvetileba-saqmeze-saqartvelos-moqalaqe-beqa-wiqarishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-konstituciur-sarcheli-n592.page

დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს[35]. მოქმედი კანონმდებლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობას აძლევს, რეალურ დროში, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ფარული საგამოძიებო მოქმედებები აწარმოოს და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან მონაცემთა ბანკების კოპირება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე განახორციელოს[36].

კამპანიაში „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“ გაერთიანებული ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ კანონში არსებული ნორმები, რაც ამას შესაძლებელს ხდის, მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს ლახავს და საკონსტიტუციო სასამართლოს ამ რეგულაციების გაუქმების მოთხოვნით მიმართეს[37].

2015 წლის 17 დეკემბერს, საკონსტიტუციო სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოში არსებითი განხილვა გაიმართა[38].

9. ადამიანის უფლებათა ცენტრის საკონსტიტუციო სარჩელი საარჩევნო ოლქებთან დაკავშირებით და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

2015 წლის 28 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი – „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ადგენდა 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის განსაზღვრის წესს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით საქართველოს მოქალაქეებმა - უჩა ნანუაშვილმა[39] და კონსტიტუციონალისტმა

---

[35] მოსარჩელე მხარეს წარმოადგენენ: საქართველოს სახალხო დამცველი; გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი". მოპასუხე მხარეს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტი.

[36]იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაცია: http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/recording-notices/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-burdjanadze-lika-sadjaia-giorgi-gociridze-tatia-qinqladze-giorgi-chitidze-lasha-tugushi-zviad-qoridze-aaip-fondi-gia-sazogadoeba-saqartvelo-aaip-saertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-aaip-saqar.page

[37] ინფორმაცია ვრცლად, იხ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18251&lang=geo

[38] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაცია: http://www.constcourt.ge/ge/news/aw-17-dekembers-1000-saatze-saqartvelos-sakonstitucio-sasamartloshi-gaimarteba-n625640-konstituciuri-sarchelebis-arsebiti-ganxilva.page

[39] იმ დროს - ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

მიხეილ შარაშიძემ 2012 წლის 12 დეკემბერს მიმართეს. სარჩელი მომზადდა ადამიანის უფლებათა ცენტრში.

მოსარჩელეები სადავოდ ხდიდნენ საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 110-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს[40]. მათი აზრით, საარჩევნო კოდექსის გასაჩივრებული ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე–14 მუხლს[41] და 28–ე მუხლის პირველ პუნქტს[42].

სადავო ნორმების თანახმად, საპარლამენტო არჩევნებისათვის თითოეული მუნიციპალიტეტი, თბილისის გარდა, წარმოადგენდა ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქს, ხოლო თბილისში იქმნებოდა 10 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. მოსარჩელეთა მოსაზრებით, მაჟორიტარულ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმები არ იყო თანაბარი ძალის მქონე. მაგალითად, საბურთალოს საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული 128 545 ამომრჩეველი ირჩევდა ერთ მაჟორიტარ დეპუტატს, იმ დროს, როდესაც, ყაზბეგის საარჩევნო ოლქში ერთ მაჟორიტარ დეპუტატს ირჩევდა მხოლოდ 5 810 ამომრჩეველი. ამდენად, ყაზბეგის ამომრჩევლის ხმა 22-ჯერ უფრო წონადი იყო, ვიდრე საბურთალოს საარჩევნო ოლქის ამომრჩევლის ხმა, რაც აშკარად მეტყველებდა სისტემის დისკრიმინაციულობაზე[43].

სასამართლომ საყოველთაო საარჩევნო უფლების მნიშვნელობაზე მითითებით განმარტა, რომ აუცილებელია, არსებულმა საარჩევნო სისტემამ უზრუნველყოს ხალხის ნების თავისუფალი და თანასწორი ასახვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირების პროცესში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმების მიღებით საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო ოლქები მექანიკურად დაუკავშირა მუნიციპალიტეტებს, ისე, რომ არ გაითვალისწინა მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა. ამან კი გამოიწვია მნიშვნელოვანი გადახრა ხმათა თანაბრობის პრინციპიდან და არათანაზომიერად დაამცრო ამომრჩეველთა დიდი ნაწილის გავლენა საარჩევნო პროცესებზე[44].

---

[40] „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 110-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის იქმნება 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, მათ შორის, თბილისში - 10 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი“. მე-2 პუნქტის თანახმად კი, „საპარლამენტო არჩევნებისათვის თითოეული მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ქალაქი, რაიონი), თბილისის გარდა, არის ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი“ (2011 წლის 27 დეკემბრის რედაქცია).

[41] საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ეხება თანასწორობის უფლებას.

[42] საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი ეხება არჩევნებში მონაწილეობის უფლებას.

[43] ინფორმაცია სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18304&lang=geo

[44] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, იხ.: http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqeebi-ucha-nanuashvili-da-mixeil-sharashidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page

10. გიორგი უგულავას საკონსტიტუციო სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება და მისი თანმდევი მოვლენები

2015 წლის 16 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას სარჩელი პარლამენტის წინააღმდეგ. მოსარჩელეს არაკონსტიტუციურად მიაჩნდა ის გარემოება, რომ პარალელურად რამდენიმე ბრალდების შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ვადა, შესაძლოა, განისაზღვროს თითოეული საქმისთვის დამოუკიდებლად და ჯამში აღემატებოდეს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ 9 თვეს[45].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის დაპატიმრება თანაბრად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით. შესაბამად, თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე 9-თვიანი ზღვრული ვადის გამოთვლისას ამ ვადაში უნდა ჩაითვალოს ის პერიოდი, რომელიც პირმა ბრალდების შემდეგ პატიმრობაში გაატარა მის მიმართ წარმოებული სხვა საქმის ფარგლებში. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია სისხლის სამართლის საპროცესი კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში[46].

საზოგადოების მაღალი ინტერესი გამოიწვია საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამოცხადებისა და ძალაში შესვლის დაჩქარებულმა პროცესმა. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე მერაბ ტურავა, რომელსაც განსხვავებული აზრი ჰქონდა, აჭიანურებდა გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერას. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, მას შემდეგ რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ტურავა არ გამოცხადდა პლენუმის სხდომაზე, სადაც გადაწყვეტილების ხელმოწერის პროცედურა უნდა განხორციელებულიყო, სასამართლომ მას არაერთგზის შესთავაზა, რომ შეეძლო ხელი მოეწერა გადაწყვეტილებისთვის მისთვის სასურველ დროსა და ადგილას[47]. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები გადაწყვეტილებაზე ხელმოსაწერად მერაბ ტურავას საავადმყოფოში ესტუმრნენ, მაგრან მან გადაწყვეტილებას ხელი არ მოაწერა. მერაბ ტურავას განმარტებით, მას სასამართლო გადაწყვეტილების

---

[45] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაცია: http://constcourt.ge/ge/news/giorgi-ugulava-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page

[46] იხ. იქვე.

[47] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადება: http://constcourt.ge/ge/news/kidev-erti-gancxadeba-saqmeze-giorgi-ugulava-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-gadawyvetilebis-gamocxadebis-gadadebastan-dakavshirebit.page

გასაცნობად და მასზე ხელმოწერისათვის გონივრული ვადა სჭირდებოდა, რაც მას არ მიეცა[48]. ამის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მერაბ ტურავას ხელმოწერის გარეშე გამოაქვეყნა, რის შემდეგაც იგი ძალაში შევიდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 2015 წლის 17 სექტემბერს, გიგი უგულავა წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ამ დრომდე გიგი უგულავა წინასწარ პატიმრობაში უკვე 14 თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა[49]. პარტია „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის ერთ-ერთი ლიდერია გიგი უგულავა, აცხადებდა, რომ წინასწარი პატიმრობის საკონსტიტუციო ვადების ასეთი უხეში დარღვევა განპირობებული იყო პოლიტიკური დევნის მოტივით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსგავსი მანკიერი პრაქტიკა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა სხვა ბრალდებულთა მიმართაც, რომელთა მიმართ არანაირი პოლიტიკური დაინტერესება არ არსებობდა. მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ პრაქტიკას წერტილი დაესვა.

გიგი უგულავამ მხოლოდ ერთი დღე დაჰყო თავისუფლებაში. 2015 წლის 18 სექტემბერს სასამართლომ გიგი უგულავა დამნაშავედ სცნო სახელმწიფო თანხების გაფლანგვაში და მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არაჯანსაღი გამოხმაურება მოჰყვა. 2015 წლის 18 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა მედიასაშუალებებთან განაცხადა, რომ გახშირდა ცალკეულ მოსამართლეებსა და მათი ოჯახის წევრებზე ზეწოლა, რაც გამოიხატებოდა მოსამართლეების სახლებთან შეკრებილ მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის განცხადებებში ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე ზეწოლის მიზეზად პაპუაშვილი გიორგი უგულავას კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას ასახელებდა[50].

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, გარკვეულ კითხვებს აჩენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პროცესის ფორსირებულად და დაჩქარებულად წარმართვა და გადაწყვეტილების სწრაფი გამოქვეყნება განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლის ხელმოწერის გარეშე. რჩება შთაბეჭდილება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანი იყო, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გიგი უგულავასადმი განაჩენის გამოტანამდე შესულიყო ძალაში, რათა იგი თუნდაც მცირე ხნით გათავისუფლებულიყო პატიმრობიდან. საბოლოოდ, მივიღეთ რეალობა, რაც უდავოდ აჩენს კითხვებს მართლმსაჯულებისადმი: 2015 წლის 16 სექტემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა გიგი უგულავას სარჩელი, 17

---

[48] მერაბ ტურავას განცხადება, იხ.: http://news.ge/ge/news/story/152640-turava-es-aris-upativtsemuloba-mosamartlisadmi-es-aris-upativtsemuloba-sasamartlos-khelisuflebisadmi

[49] ინფორმაციისათვის, ვრცლად, იხ. რადიო „თავისუფლების“ სტატია: http://www.radiotavisupleba.ge/content/gigi-ugulava-gaatavisuples/27254382.html

[50] საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადება ვრცლად, იხ: http://www.interpressnews.ge/ge/samartali/346064-giorgi-papuashvili-calkeul-mosamarthleebze-zetsolis-faqtebi-gakhshirda.html?ar=A

სექტემბერს გიგი უგულავა წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, ხოლო 18 სექტემბერს, სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო ფინანსური დანაშაულის ჩადენაში და კვლავ აღუკვეთა თავისუფლება.

11. საქართველოს მთავარი პროკურორის არჩევა

2015 წლის 27 ნოემბერს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე ფარული კენჭისყრით, 82 ხმით 15-ის წინააღმდეგ, ექვსი წლის ვადით, ახალ მთავარ პროკურორად ირაკლი შოთაძე აირჩია[51]. მანამდე ირაკლი შოთაძე მთავარი პროკურორის მოადგილედ მუშაობდა.

საქართველოს პარლამენტში მთავარი პროკურორის კანდიდატურის წარდგენამდე, 2015 წლის 19 ნოემბერს ჩატარდა საპროკურორო საბჭოს სხდომა, სადაც განიხილებოდა მთავარი პროკურორის არჩევის საკითხი. არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასებით, მთავარი პროკურორის არჩევის პროცესი, მათ შორის, იუსტიციის მინისტრის მიერ კანდიდატურების დასახელების, დასაბუთებისა და კანდიდატებთან გასაუბრების ეტაპები არ ყოფილა ღია და გამჭვირვალე[52].

2015 წლის 19 ნოემბერს გამართული საპროკურორო საბჭოს სხდომის მხოლოდ ის ნაწილი გაიხსნა, სადაც ჩატარდა მთავარი პროკურორის კანდიდატების ფარული კენჭისყრის პროცედურა, ხოლო საპროკურორო საბჭოს მიერ მთავარი პროკურორობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესი დაკვირვების მიღმა დარჩა.

12. მთავარი პროკურატურის ახალი დეპარტამენტი

2015 წლის 13 თებერვალს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის #62 ბრძანებით[53], შეიქმნა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი. დეპარტამენტის დებულებით, მას დაევალა სამართალწარმოებისას შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების, მათ შორის - წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, ქონების იძულებით დათმობისა და სხვა იძულების ფაქტების გამოძიება.

---

[51] ოფიციალური ინფორმაცია, იხ: http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi_news/parlamentma-mtavari-prokurori-airchia.page

[52] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება: https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-mimartva-saqartvelos-parlaments-mtavari-prokuroris-kandidaturis-damtkicebastan-dakavshirebit

[53] იუსტიციის მინისტრის ბრძანება იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2728207

დეპარტამენტი იძიებს 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მთავარ პროკურატურაში შესულ საჩივარ-განცხადებებში მითითებულ ფაქტებს, მათ შორის, ქონების უკანონოდ ჩამორთმევის შესახებ.

2015 წლის აგვისტოდან ადამიანის უფლებათა ცენტრი მონიტორინგს უწევს დეპარტამენტის მუშაობას. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატებს დეპარტამენტში დაახლოებით 30 საქმე აქვთ შეტანილი. ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის ახალი დეპარტამენტი ვერ პასუხობს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მინიმალურ სტანდარტებს, რაც სერიოზულ კითხვებს ბადებს მისი მუშაობის ეფექტურობის კუთხით[54].

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ახალი დეპარტამენტიდან დღემდე ვერ მიიღო ინფორმაცია რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რაც საფუძვლიან ეჭვს აჩენს დეპარტამენტის გამჭვირვალე და განჭვრეტად მუშაობასთან დაკავშირებით.

საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია, რა კრიტერიუმებით ანიჭებს კონკრეტულ საქმეებს პრიორიტეტს დეპარტამენტი ამა თუ იმ საქმეზე გამოძიების დაწყების კუთხით და არის თუ არა ეს კრიტერიუმები წერილობით გაწერილი. ასევე, საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია დეპარტამენტის თანამშრომელთა შერჩევის კრიტერიუმები[55]. ადამიანის უფლებათა ცენტრმა ახალი დეპარტამენტის მუშაობის ხარვეზებზე ვრცლად სპეციალურ პრესკონფერენციაზე ისაუბრა[56].

მთავარი პროკურატურის ახალი დეპარტამენტის მუშაობა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც გააკრიტიკეს[57].

13. პენიტენციური სისტემა

2015 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ყველაზე მეტი საჩივარი *გათუმის #3 პენიტენციური* დაწესებულებიდან მიიღო. მთელი წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრში #3 დაწესებულებიდან დაახლოებით 50 მსჯავრდებულის საქმე შემოვიდა. საჩივართა დიდი უმრავლესობა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის საკითხებს და ციხის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს ეხებოდა. პატიმართა ნაწილი დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან მათზე განხორციელებულ ძალადობაზეც საუბრობდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სახელზე გაგზავნილ განცხადებებში მსჯავრდებულები დაგვიანებულ მკურნალობებსა და გამოკვლევებზე

---

[54] ვრცლად, იხ. სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18426&lang=geo

[55] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18433&lang=geo

[56] იხ: hridc.tv-ს სიუჟეტი: http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1092&lang=geo

[57] იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განცხადება : http://www.transparency.ge/blog/prokuraturis-akhali-departamenti-sachiroa-konkretika-da-sakmeta-sherchevis-kriteriumebi?page=2

საუბრობდნენ, რაშიც #3 დაწესებულების ექიმებს სდებდნენ ბრალს. პატიმართა განმარტებით, მათ არ მიეწოდებოდათ შესაბამისი მედიკამენტები, სათანადოდ არ უტარდებოდათ ოპერაციული და პოსტოპერაციული მკურნალობა.

როგორც #3 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულები აცხადებდნენ, მათ მიმართ აგრესიამ და პროვოკაციამ შეგნებულად იმატა. პატიმრების მიერ ანალოგიური დამოკიდებულება კი პაემნების, ტელეფონზე საუბრის, მაღაზიითა და ამანათით სარგებლობის აკრძალვით ისჯება. პატიმრების ინფორმაციით, სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდებათ, არ მუშაობს საჰაერო ვენტილაცია, საკნის ე. წ. სარკმელი პატარაა და ჰაერი არ მიეწოდებათ. ზოგიერთი თანამშრომელი პატიმართა მიმართ აგრესიით და ირონიული საუბრით გამოირჩევა[58]. მსჯავრდებულთა განმარტებით, დაწესებულებაში არსებულ კარცერებში სპეციალურად იყო შექმნილი სიცოცხლისთვის საშიში ვითარება[59].

ბათუმის #3 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე საუბარია სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშებში. ანგარიშის თანახმად, დაწესებულებაში მწვავედ დგას არასათანადო მოპყრობის პრევენციის საკითხი და თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება[60].

2015 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრში შემოვიდა დაახლოებით 20 მსჯავრდებულის საჩივარი *#7 პენიტენციური დაწესებულებიდან.* საჩივართა დიდი უმრავლესობა მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებსა და დაწესებულების მძიმე სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს შეეხებოდა[61]. ადამიანის უფლებათა ცენტრმა არაერთხელ მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს #7 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული მძიმე მდგომარეობის თაობაზე[62].

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის თანახმად, #7 დაწესებულებაში არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, უსაფრთხოების ღონისძიებების გადაჭარბებული გამოყენების პრაქტიკა, სარეაბილიტაციო აქტივობების არარსებობა, ოჯახის წევრებთან და ზოგადად გარე სამყაროსთან საკმარისი კონტაქტის არარსებობა და სხვა გარემოებები შეუძლებელს ხდის პატიმრების მიერ სასჯელის მოხდას მათი ღირსების პატივისცემის პირობებში[63].

---

[58] ვრცლად, იხ. სტატია:
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18147&lang=geo

[59] ვრცლად, იხ. სტატია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18204&lang=geo

[60] იხ. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტის ანგარიში:
http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-sasdjelagsrulebis-n3-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb-2015-wlis-7-9-maisi.page

[61] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა:
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18337&lang=geo

[62] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18385&lang=geo

[63] იხ. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტის ანგარიში::
http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-n7-penitenciur-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb.page

უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს #7 პენიტენციური დაწესებულების გაუქმებისკენ იქ არსებული გაუსაძლისი მდგომარეობისა და სასჯელის მოხდასთან შეუთავსებელი ციხის ინფრასტრუქტურის გამო[64].

2015 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით 100-მდე მსჯავრდებულმა მომართა *#8, # 15 და # 17 პენიტენციური დაწესებულებებიდან.* საჩივრების უმრავლესობა დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან არასასათანაო მოპყრობას, სამართლიანობის აღდგენას და ჯანდაცვის პრობლემებს შეეხებოდა. მსჯავრდებულთა განმარტებით, პატიმრები დროულად არ გაყავდათ გამოკვლევებზე და არ ენიშნებოდათ შესაბამისი მედიკამენტური მკურნალობა[65].

2015 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრში *#6 პენიტენციური დაწესებულებიდან* დაახლოებით 15 მსჯავრდებულის საჩივარი შემოვიდა. საჩივრების უმრავლესობა მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებსა და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს შეეხებოდა. მსჯავრდებულთა განმარტებით, მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ #6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები[66].

პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრი სასჯელაღსრულების სამინისტროდან იღებდა განმარტებებს, რომ გამოძიებას აწარმოებდა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი და გენერალური ინსპექცია. თუმცა, ორგანიზაციიდან გაგზავნილ საქმეთა უმრავლესობაზე კონკრეტული შედეგი არ დგებოდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა „ქართული ოცნების“ მმართველობის 2-წლიან პერიოდში სხვადასხვა სფეროში მომხდარი ცვლილებები შეაფასეს. ანგარიში მოიცავს სახელმწიფო მართვის, სამართალდამცავი, სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებსა და გამოწვევებს. მასში ასევე, ასახულია საარჩევნო და თვითმართველობის რეფორმასთან, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების, ლგბტ ჯგუფის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები, შშმ პირების მდგომარეობა და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები[67].

---

[64] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ: 2013 წ. - http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf 2014 წელი - http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf ;

[65] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა სასჯელაღსრულების სისტემაში დანერგილი მანკიერი პრაქტიკის თაობაზე: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18582&lang=geo;&lang=geo ; ასევე - უვადო მსჯავრდებულის წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრისადმი: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18179&lang=geo

[66] იხ. ინფორმაცია მსჯავრდებულ ილია აფხაზავას საქმესთან დაკავშირებით: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18590&lang=geo;

[67] იხ. EMC-ის პრესრელიზი: http://emc.org.ge/2015/05/28/kartuli-ocnebis-mmartvelobis-ori-weli/

ადამიანის უფლებათა ცენტრმა და ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველო“ შეაფასეს პენიტენციურ სისტემაში გატარებული რეფორმები და ხარვეზები, რაც წამების ფაქტებზე აღძრული საქმეების არაეფექტურ გამოძიებას და პატიმართა არასათანადო ოპერაციულ და პოსტოპერაციულ მკურნალობას შეეხებოდა. ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ პატიმართა წამება სისტემურ პრობლემას აღარ წარმოადგენს[68].

14. ქალი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2015 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა, საქართველოს სახალხო დამცველთან პარტნიორობით, განახორციელა პროექტი „ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობის მონიტორინგი საქართველოში“. პროექტი, რომელიც განხორციელდა ბულგარეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, მოიცავდა პერიოდს 2015 წლის 15 თებერვლიდან 15 აგვისტომდე.

მონიტორინგის შედეგად N5 ქალთა საპატიმროში გამოვლენილ მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენდა - ***სრული შემოწმების დამამცირებელი პროცედურა,*** ხანგრძლივი პაემნების არარსებობა, ჰიგიენური საშუალებების უკმარისობა, დაგვიანებული/არასათანადო მკურნალობა ქალი პატიმრებისათვის, უცხოელ ქალპატიმრებთან კომუნიკაციის პრობლემა, საკუთარი უფლებების შესახებ არასათანადო ინფორმაცია, სატელეფონო ჯიხურების/ბარათების გაუმართაობა და სხვა[69].

#5 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ პრობლემებზე საუბარია სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშშიც[70].

არასრულწლოვანთა #11 დაწესებულებაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი პრობლემები იყო - პრივილეგიები არასრულწლოვან პატიმრებს შორის, განმეორებითი დანაშაულის ხშირი შემთხვევები, გარკვეული კატეგორიის არასრულწლოვანი პატიმრების სოციალური იზოლაცია, არასაკმარისი რაოდენობით ფსიქოლოგები, დისტანციური სწავლების პროგრამების არარსებობა, ტრენინგების ჩატარების საჭიროება მასწავლებლებისათვის[71].

---

[68] ანგარიში სრულად, აქ: http://emc.org.ge/2015/05/28/two-years-in-government/

[69] იხ. ადამიანის უფლებეთა ცენტრის ანგარიში - „ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში“: http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/report%20-%20female%20and%20juvenile%20prisoners-geor.pdf

[70] იხ. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2015 წლის 19-20 თებერვალი): http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-sasdjelagsrulebis-n5-qalta-specialur-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb-2015-wlis-19-20-tebervali.page

[71] რეკომენდაციაბი სრულად იხ. ადამიანის უფლებეთა ცენტრის ანგარიშში - „ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში“:

ადამიანის უფლებათა ცენტრის რეკომენდაციების ნაწილი გაიზიარა სასჯელაღსრულების სამინისტრომ. განხორციელდა ქალი პატიმრების ჰიგიენური საშუალებებით უფასოდ უზრუნველყოფა და მათი სრული შემოწმების ნებაყოფლობითობის დანერგვა[72].

15. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - სიახლე სასამართლო სისტემაში

არასამთავრობო სექტორი მიესალმა იუსტიციის სამინისტროს მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მომზადებას. კოდექსის შექმნა შეესაბამება ბავშვის უფლებათა კონვენციას, რომელიც მის ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს დაამკვიდროს სპეციალური პოლიტიკა, პროცედურები, და ინსტიტუტები, მართლმსაჯულების სისტემასთან შემხებლობაში მყოფი არასრულწლოვნებისთვის[73].

კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების სისტემის ლიბერალიზება და აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპის გაძლიერება არასრულწლოვნებთან მიმართებით. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, აღნიშნული კოდექსი მართლმსაჯულების ახალ სტანდარტებსა და ნორმებს ამკვიდრებს არა მხოლოდ კანონთან კონფქლიტში არასრულწლოვნების, არამედ დაზარალებული და მოწმე არასრულწლოვნების მიმართაც. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, ნასამართლობის გაქარწყლებას, განრიდების ინსტიტუტს, სპეციალიზებული მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადებასა და სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს[74].

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი საქართველოს პარლამენტმა საბოლოო რედაქციით 2015 წლის 12 ივნისს მიიღო[75].

---

http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/report%20-%20female%20and%20juvenile%20prisoners-geor.pdf

[72] იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და ჯანდაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება **№88--№01-34/ნ** https://matsne.gov.ge/ka/document/view/2936802; საქართველოს სასჯელაღსრულების მინისტრის **№**149 ბრძანება https://matsne.gov.ge/ka/document/view/2994635

[73] იხ. კოალიციის განცხადება: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18224&lang=geo

[74] იხ. იგივე.

[75] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281

16. პოლიციელთა მიერ განხორციელებული ცემისა და ზეწოლის ფაქტები

2015 წლის განმავლობაში, პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრმა ოცამდე საჩივარი მიიღო. მოქალაქეთა განმარტებით, პოლიციელებმა მათ სცემეს და ზეწოლა განახორციელეს როგორც ქუჩებში, ისე უშუალოდ პოლიციის შენობებში. დაზარალებულთა ნაწილის განმარტებით, მათ ცემაში რაიონული პოლიციის მაღალჩინიოსნებიც მონაწილეობდნენ. პოლიციელები მათ აგინებდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. დაზარელებულთა ნაწილს სხეულზე გარეგანი დაზიანებები ეტყობოდათ[76]. პოლიციელთა მიერ განხორციელებულ სავარაუდო გადაცდომებზე საუბრობენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც[77].

ადამიანის უფლებათა ცენტრმა აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურას დროული და ეფექტური გამოძიების თხოვნით მიმართა. დღემდე გამოძიება პოლიციელთა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე ჭიანურდება და მიკერძოებით მიმდინარეობს. საქმეებს, ძირითადად, შსს-ს იგივე უწყება იძიებს, რომელშიც პოლიციელები არიან დასაქმებულნი, რითაც არსებითად ირღვევა მიუკერძოებელი გამოძიების პრინციპი.

მსგავსი ვითარების აღმოფხვრის მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს პარლამენტს არაერთხელ მოუწოდა, შექმნას დროებითი საგამოძიებო ორგანო, რომელიც სამართალდამცავთა სავარაუდო დანაშაულებს გამოიძიებს. დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო იქნება დამოუკიდებელი გამოძიების მექანიზმი, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე[78].

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში იყო საქმეები, როდესაც იკვეთებოდა პოლიციელთა მხრიდან მოქალაქეებზე არასათანადო მოპყრობის ფაქტები და უფლებამოსილების გადამეტების არაეფექტური გამოძიება.

<u>მოქალაქე მაია კეკელია</u> მარტვილის რაიონული სამმართველოს ბანძის განყოფილების თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების

---

[76] სხვადასხვა ფაქტის თაობაზე ინფორმაცია იხ. შემდეგ ბმულებზე:
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18419&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18411&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18401&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18399&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18396&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18386&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18285&lang=geo

[77] იხ. საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტი: http://1tv.ge/ge/news/view/87330.html;

[78] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა:
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18396&lang=geo ; ასევე - ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ: http://www.osgf.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=15&info_id=4070

გადამეტების მსხვერპლი. მაია კეკელიამ არაერთხელ მიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს, აგრეთვე - სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას, გენერალურ ინსპექციას და მოითხოვა გამოძიების დაწყება მარტვილის რაიონული სამმართველოს ბანძის განყოფილების თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე, მაგრამ - უშედეგოდ. გამოძიება დღემდე ჭიანურდება. ამავდროულად, მაია კეკელია პოლიციამ იქით დაადანაშაულა წინააღმდეგობის გაწევაში, რაც გაიზიარა ზუგდიდის რაიონის სასამართლომ, რომლის განაჩენით, მაია კეკელია დამნაშავედ არის ცნობილი მარტვილის რაიონული სამმართველოს ბანძის განყოფილების თანამშრომლისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით. ამ ეტაპზე მაია კეკელიას საქმე უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული[79].

<u>მოქალაქე გიორგი ცომაიას</u> მსგავსი ბრალდება ჰქონდა წაყენებული. მის საქმეზე 2015 წლის 6 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. სასამართლომ პოლიციელზე თავდასხმისათვის ბრალდებული გიორგი ცომაია უდანაშაულოდ სცნო და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა. სასამართლომ განიხილა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები და დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებები არ ქმნიდა პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას. შესაბამისად, სასამართლომ გიორგი ცომაია უდანაშაულოდ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა[80].

<u>მოქალაქე ალექსანდრე ახალკაცი</u> 2015 წლის 9 მაისს, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პოლიციელებმა გურამიშვილის გამზირზე სასტიკად სცემეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ახალკაცის განმარტებით, სამართალდამცავები გლდანი-ნაძალადევის პოლიციის განყოფილებაში მუშაობენ. მისი თქმით, მას ყველა პოლიციელის ამოცნობა შეუძლია. ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარების შედეგად, პოლიციელებს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს[81].

---

[79] ვრცლად, იხ. სტატია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18401&lang=geo

[80] ვრცლად, იხ. სტატია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18255&lang=geo

[81] იხ. პოლიციელთა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტების ამსახველი სტატია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18285&lang=geo

17. უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები რეგიონებში

2015 წლის განმავლობაში, პოლიციელთა მხრიდან მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული უფლებამოსილების გადამეტების საქმეები წარმოებაში ჰქონდა ადამიანის უფლებათა ცენტრის გურჯაანის ოფისსაც.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკოკში მცხოვრებმა 19 წლის ლადი ელიკაშვილმა გურჯაანის შს რაიონული სამმართველოს უფროსი და მოადგილეები ცემაში დაადანაშაულა[82].

შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 30 წლის ჭაბუკა ჭაბუკაძე 2015 წლის 21 მაისს, გვიან ღამით დააკავეს და სავარაუდოდ ცემეს. შემთხვევა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინში მოხდა, მაშინ როდესაც ახალგაზრდა მამაკაცი მეგობრებთან ერთად საკუთარი სახლის წინ იდგა. ცემის შედეგად ჭაბუკა ჭაბუკაძემ სხეულის მრავლობითი დაზიანება მიიღო. ის გურჯაანის „ჯეო ჰოსპიტალსის“ მრავალპროფილიან სამედიცინო ცენტრში მოათავსეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის დაცვის ქვეშ მყოფი მსჯავრდებული ვაჟა უტიაშვილი სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეში გაამართლა და საქმე შეწყვიტა. მას 2015 წლის 30 აპრილს, სააპელაციო სასამართლოს დადგენილებით ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების უკანონო ბრალდება მოეხსნა[83].

18. ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტი

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის, გიორგი მდინარაძის განმარტებით, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მას ფიზიკურად გაუსწორდნენ ვაკე-საბურთალოს მე-5 განყოფილების თანამშრომლები.

2015 წლის 8 ნოემბერს, დილის 3 საათსა და 15 წუთზე მდინარაძე ვაკე-საბურთალოს მე-5 განყოფილებაში გამოცხადდა არასრულწლოვნის დაკითხვაზე. კონსულტაციის მიღების შემდეგ არასრულწლოვანმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გადაწყვიტეს, დუმილის უფლება გამოეყენებინათ, რამაც სამართალდამცველების გაღიზიანება გამოიწვია.

მდინარაძის განმარტებით, გაბრაზებულმა პოლიციელებმა ადვოკატი განყოფილების უფროსის ოთახში შეიყვანეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ცემის დროს გიორგი მდინარაძეს ხელზე ბორკილები ჰქონდა დადებული. აღნიშნულ ფაქტს ასევე ესწრებოდა არასრულწლოვანი.

---

[82] იხ. სტატია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18543&lang=geo; ასევე - ადამიანის უფლებათა ცენტრის დოკუმენტური ფილმი: http://hridc.tv/index.php?a=view&id=1137&lang=geo

[83] ვრცლად, იხ. სტატია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18442&lang=geo; ასევე - ფილმი: http://hridc.tv/index.php?a=view&id=1137&lang=geo

პოლიციის მე-5 განყოფილებიდან გიორგი მდინარაძე სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ჰოსპიტალში გადაიყვანა, სადაც მან 48 საათი გაატარა. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატ გიორგი მდინარაძეს ტვინის შერყევა ჰქონდა.

როგორც გიორგი მდინარაძის ადვოკატმა აღნიშნა, სამართალდამცავები გიორგი მდინარაძეზე ძალადობდნენ ფიზიკურად, სიტყვიერად და მიმართავდნენ სხვადასხვა დამამცირებელ მეთოდს. მდინარაძის სამართლებრივი ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტიც იცავს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის პროექტის ფარგლებში.

ადვოკატის ცემის ფაქტს გამოეხმაურა საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მისი თქმით, ადვოკატის ცემის ფაქტი გაუგონარია და აუცილებელია, დამნაშავის უმკაცრესად და სამაგალითოდ დასჯა. გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტს არასამთავრობო ორგანიზაციები[84] და სახალხო დამცველი[85] გამოეხმაურა, რომელთაც ეფექტური გამოძიების წარმოება და დამნაშავე პირთა დასჯა მოითხოვეს.

საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2015 წლის 13 ნოემბერს, ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე მინდინარე გამოძიების ფარგლებში, ბრალდებულის სახით დააკავეს შს სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილების უფროსი. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის დაკავებული პოლიციელი 15 ნოემბერს შიმშილობის ფონზე საავადმყოფოში გადაიყვანეს. იგი აცხადებს, რომ დაპირისპირება ადვოკატ გიორგი მდინარაძის პროვოცირებული იყო და მას ბრალს უსამართლოდ უყენებენ.

ადვოკატ გიორგი მდინარაძის საქმეზე სასამართლო განხილვები დღემდე მიმდინარეობს.

19. გენერალური ინსპექციების არაეფექტური მუშაობა

2015 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართავდნენ მოქალაქეები, რომლებიც შსს-სა და სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალური ინსპექციების საქმიანობის მიკერძოებასა და არასწორ პრაქტიკაზე საუბრობდნენ.

2015 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს წარმოებაში ჰქონდა დაახლოებით 40 საქმე, რომელთა უმრავლესობაც შსს-სა და სასჯელაღსრულების სამინისტროების გენინსპექციათა მიერ მათივე თანამშრომლების მიერ ჩადენილ გადაცდომების არაეფექტურ და მიკერძოებულ გამოძიებებს ეხებოდა.

---

[84] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18514&lang=geo

[85] იხ: http://ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-advokatis-mimart-ganxorcielebuli-dzaladobis-shesaxeb.page

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ გენერალური ინსპექციები ან არ იწყებენ გამოძიებას პოლიციელთა ან/და სასჯელაღსრულების სამინისტროს თანამშრომელთა მიერ ჩადენილ გადაცდომებზე ან ავტომატურად, საქმეთა ყოველგვარი შესწავლის გარეშე, ამისამართებენ საქმეებს შსს-ს ან/და სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში და პროკურატურაში. როგორც წესი, გენერალური ინსპექცია თავს არიდებს, დაიწყოს მოკვლევა მისივე თანამშრომელთა მიერ ჩადენილ გადაცდომებზე, რაც არღვევს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი გამოძიების პრინციპს.

2015 წელს, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში იყო საქმეებიც, რომელებიც უშუალოდ გენინსპექციის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ გადაცდომებს ეხებოდა.

მოქალაქე. ე.მ საქმეზე სასჯელაღსრულების სამინისტროს გენინსპექციამ ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატი არ დაუშვა ე.მ-სთან გასაუბრებაზე, რასაც ორგანიზაციის პროტესტი მოჰყვა[86]. გასაუბრების პროცესში გენინსპექციის თანამშრომელთა მიერ ადგილი ჰქონდა ე.მ-ზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

პატრულ ინსპექტორის, იოსებ აბულაძის სამსახურიდან გათავისუფლების საქმეზე თავად შსს-ს გენერალური ინსპექციის მაღალჩინოსანი ერეკლე ჭოხონელიძე იყო დაინტერესებული მხარე იოსებ აბულაძის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებაში და მის მიმართ განხორციელებულ დევნაში. ადამიანის უფლებათა ცენტრისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამართლებრივი დახმარებით, უკანონოდ გათავისუფლებული პატრულ-ინსპექტორი სამსახურში აღდგება[87].

20. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი

2015 წლის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ხელისუფლების წინაშე აქტიურად აყენებდნენ დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის საკითხს, რომელიც გამოიძიებდა პოლიციელის, სასჯელაღსრულების მუშაკისა და პროკურორის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებით, უნდა დასრულდეს უწყებების მიერ თავიანთი თანამშრომლების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების

[86] ინფორმაცია ვრცლად, იხ.: http://www.interpressnews.ge/ge/samartali/348985-sasjelaghsrulebis-saministro-qadamianis-uflebatha-centrisq-ganckhadebashi-aghnishnul-garemoebebs-sheistsavlis.html?ar=A

[87] ინფორმაცია, ვრცლად, იხ.: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18636&lang=geo

გამოძიების პრაქტიკა, მით უფრო, როცა ასეთი გამოძიება ხშირად ემსახურება არა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, არამედ პოლიციელთა ქმედებების კვალის წაშლას[88]. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის განმარტებით, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის გარეშე საქართველოში ძალადობა ვერ აღმოიფხვრება[89].

ადამიანის უფლებათა ცენტრმა არაერთი პრესკონფერენცია გამართა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის მოთხოვნით, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის წინაშე[90].

2015 წლის თებერვალში საერთაშორისო ორგანიზაციებმა პარლამენტს და მთავრობას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის სპეციალური მოდელის შექმნა შესთავაზეს. არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით შემუშავდა კანონპროექტი, რითაც ორი სახის იურისდიქციაა შეთავაზებული:

- ექსკლუზიური იურისდიქცია, რაც გულისხმობს საგამოძიებო და სისხლის სამართლებრივი დევნის ფუნქციის მინიჭებას იმ შემთხვევაში თუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ცემა, ძალადობა, დამცირება, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის ხელყოფა იმ პირის მიმართ, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ეფექტური კონტროლის ქვეშ, ან მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ, მიუხედავად იმისა ის ახორციელებს თუ არა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და დანაშაულს შედეგად მოყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის ხელყოფა.
- მეორე შემთხვევა, როცა დამოუკიდებელ სტრუქტურას უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლებრივი დევნისა და გამოძიების უფლებამოსილება, არის პირდაპირი იურისდიქცია, როცა არსებობს ინტერესთა კონფლიქტის დასაბუთებული ვარაუდი, რომლის მიხედვით, გამოძიება ვერ იქნება წარმართული ობიექტურად სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი საგამოძიებო სტრუქტურების მიერ[91].

არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური კონსულტაციების შედეგად, კანონპროექტმა გარკვეული მოდიფიცირება განიცადა.

---

[88] ვრცლად, იხ. სტატია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18399&lang=geo

[89] იხ. იგივე;

[90] პრესკონფერენციების თაობაზე ინფორმაცია ვრცლად იხ. ბმულებზე:
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18419&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18411&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18396&lang=geo

[91] კანონპროექტის შესახებ ინფორმაცია ვრცლად, იხ.:
http://www.osgf.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=15&info_id=4070

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობდა სახალხო დამცველის ოფისი. მისი განმარტებით, 2014 წელს სახალხო დამცველმა 24 წინადადებით მიმართა პროკურატურას, მოეხდინა რეაგირება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უფლებამოსილების გადამეტებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, მაგრამ ამ ეტაპზე არც ერთ ამ მოთხოვნას სისხლისსამართლებრივი დევნა არ მოჰყოლია. დღეს საქართველოში არ არსებობს ისეთი სამსახური, რომელიც ასეთ საჩივრებს გამოეხმაურება და ამიტომ დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნა მნიშვნელოვანია[92].

მიუხედავად არასამთავრობო სექტორის არაერთი მოთხოვნისა, პარლამენტს ჯერჯერობით ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის კუთხით.

21. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გამოძიება

<u>ყოფილი პოლიტპატიმრების საქმეების გამოძიება</u>

2015 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა პროკურატურაში მიმდინარე გაჭიანურებულ გამოძიებებთან დაკავშირებით არაერთი პრესკონფერენცია გამართა და პროკურატურის ორგანოებს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების, მათ შორის ყოფილ პოლიტპატიმართა საქმეების დროული გამოძიებისაკენ და მათი სამართლებრივი რეაბილიტაციისაკენ მოუწოდა[93].

ორგანიზაციის განმარტებით, სამართალდამცავი ორგანოების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დარღვევებზე სახელმწიფოსა და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან არაეფექტური რეაგირება წლების განმავლობაში სისტემურ პრობლემას წარმოადგენს. დღემდე, იმ საქმეებზე, რასაც ადამიანის უფლებათა ცენტრი აწარმოებს, ეფექტური და დროული გამოძიება არ მიმდინარეობს. დაზარალებულის სტატუსიც კი არა აქვთ იმ ადამიანებს მინიჭებული, ვინც წარსულში იყო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ან დაზარალდნენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ ასეთი საქმეების გამოძიების შეფერხება იწვევს ისეთ თანმდევ რეციდივებს, როგორიც იყო ბიზნესმენის ბესიკ ხარძიანის მკვლელობა[94].

---

[92] ვრცლად, იხ სტატია: http://www.tabula.ge/ge/story/81624-ombudsmeni-mnishvnelovania-sheiqmnas-damoukidebeli-sagamodziebo-meqanizmi

[93] ვრცლად, იხ. სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18211&lang=geo

[94] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18208&lang=geo

სახელმწიფოს მიერ დღემდე არ განხორციელებულა ყოფილ პოლიტპატიმართა სამართლებრივი რეაბილიტაცია და მათი საქმეების დროული და ეფექტური გამოძიება. ამასთანავე, დღემდე საიდუმლო გრიფი არ აქვთ ახსნილი ე. წ „ჯაშუშობის“ ბრალდებით გასამართლებულ პირებს, რაც ხელს უშლის მათი საქმეების გადახედვასა და რეაბილიტაციას.

2015 წლის 11 თებერვალს, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა და რეპრესირებულმა პირებმა საქართველოს პრემიერ მინისტრს, თავდაცვის მინისტრს, შსს-ს მინისტრს, მთავარ პროკურორს, სახალხო დამცველს და არასამთავრობო ორგანიზაციებს სამართლიანობის აღდგენის პროცესის უზრუნველყოფისაკენ მოუწოდეს[95].

იური ვაზაგაშვილის საქმე

2015 წლის 20 იანვარს, ახლობლის დაკრძალვაზე, კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში ჩასული იური ვაზაგაშვილი მივიდა საკუთარი შვილის, ზურაბ ვაზაგაშვილის[96] საფლავზე, სადაც იგი სასაფლაოზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა.

2015 წლის 26 იანვარს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებთან დაკავშირებით პარლამენტს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისკენ მოუწოდეს[97].

პროკურატურის ინფორმაციის თანახმად, გამოძიების მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული იქნა საფლავზე აფეთქებული ხელყუმბარის ნაწილი, ე.წ. ფალიის სახელური, რომელზედაც ჩატარებული ექსპერტიზით აღმოჩენილ იქნა ადამიანის დნმ-ის კვალი.

პროკურატურის ინფორმაციით, „გამოძიებით გადამოწმდა მობილური სატელეფონო ოპერატორების მომსახურე ანძებზე დაფიქსირებული აბონენტების ვინაობა, დაიკითხა ათეულობით მოწმე, განისაზღვრა დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირთა წრე, რომელთა მიმართ საქართველოს შსს-ს გენერალური ინსპექციისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა და დაკავებულ იქნა პოლიციის თანამშრომელი გ.ს., რომელიც როგორც გამოძიებით დადგინდა, 2015 წლის 19-20 იანვარს იმყოფებოდა კასპის რაიონის სოფელ ყარაფილას ტერიტორიაზე და რომლის დნმ-ი გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაემთხვა შემთხვევის ადგილიდან (ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავი) ამოღებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ფალიის სახელურზე აღმოჩენილ დნმ-ს“. პროკურატურის მტკიცებით, უტყუარად შეიძლება ითქვას,

---

[95] ყოფილი პოლიტპატიმრების მიმართვა იხ.:
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18134&lang=geo

[96] 2006 წლის 2 მაისს, ჩოგბურთის კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ე.წ. სპეცოპერაციისას, ადგილზე მოკლეს ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი.

[97] არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა იხ.:
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18091&lang=geo

რომ იური ვაზაგაშვილი მოკლული იქნა გ.ს.-ს მიერ საფლავზე დამონტაჟებული ხელყუმბარის აფეთქების შედეგად.

2015 წლის 6 ნოემბერს, იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ გ.ს.-ს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია, მკვლელობის შემკვეთისა და ორგანიზატორის ვინაობა, რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს გამოძიების ეფექტურობასთან დაკავშირებით.

ბესიკ ხარძიანის საქმე

2015 წლის 28 მარტს, თბილისში, მარაბდის ქუჩაზე, საკუთარ სახლთან ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანი მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობა სავარაუდოდ ჩეჩნური წარმოშობის უკრაინის მოქალაქემ ჩაიდინა, რომელიც მარაბდის ქუჩაზე მოპედით იმყოფებოდა. მოპედი და ჩაფხუტი მკვლელობიდან მალევე კეკელიძის ქუჩაზე აღმოაჩინეს. ბესიკ ხარძიანი 2013 წლიდან სამართლიანობის აღდგენისათვის იბრძოდა. იგი კუს ტბის კომპლექსის აქციების ერთ-ერთი მფლობელი იყო. წლების განმავლობაში, იგი სხვა ბიზნესწილებსაც ფლობდა. 2011 წლის თებერვალში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება-წარმოებისა და შეძენა-შენახვისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საქართველოს საპატრიარქოს შუამდგომლობის საფუძველზე, 2014 წელს პრეზიდენტმა ის შეიწყალა. ბიზნესმენმა 2 წელი ციხეში გაატარა, მაგრამ ბრალდებას უარყოფდა. სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ იგი ამბობდა, რომ უსაფუძვლოდ დააპატიმრეს და 2 წლის განმავლობაში არაადამიანურ პირობებში უწევდა ყოფნა. როგორც ბესიკ ხარძიანი აცხადებდა, მისი დაკავების ინიციატორები იყვნენ ყოფილი მაღალჩინოსნები: ზურაბ ადეიშვილი, გია უდესიანი და დავით კეზერაშვილი. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, მან დაიწყო ბრძოლა კუს ტბის დაბრუნების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოში მან ერთი საქმე მოიგო, მეორე კი წააგო. საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობდა[98].

2015 წლის 31 მარტს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს სწრაფი, ეფექტური და გამჭვირვალე გამოძიებისა და ეფექტური საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მოთხოვნით მიმართეს[99]. ბესიკ ხარძიანის მკვლელობის დროულ გამოძიებას ითხოვს საქართველოს სახალხო დამცველიც[100].

---

[98] მეტი ინფორმაციისათვის იხ. ტელესიუჟეტი: http://rustavi2.com/ka/news/12851

[99] არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18206&lang=geo;

[100] იხ.: http://www.interpressnews.ge/ge/samartali/323952-sakhalkho-damcveli-kitsmarishvilisa-da-khardzianis-mkvlelobis-saqmeebze-drouli-gamodziebis-tsarmoebaa-aucilebeli.html?ar=A

22. მედიის თავისუფლება და „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენები

ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა, რომელიც „რუსთავი 2“-ის თანამფლობელი იყო 2004–2006 წლებში, ტელეკომპანიაში საკუთარი წილის დასაბრუნებლად სასამართლოში სარჩელი 4 აგვისტოს შეიტანა და საბოლოო განაჩენის გამოტანამდე „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღება მოითხოვა[101].

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ ტელეკომპანიის ქონების დაყადაღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

„რუსთავი 2–მა“ ხალვაშის სარჩელი შეაფასა როგორც მთავრობის მიერ მართული ნაბიჯი, რათა კონტროლი დაამყაროს ტელეკომპანიაზე. 7 აგვისტოს „რუსთავი 2-მა“ განაცხადა, რომ სასამართლოს განჩინება ქონების დაყადაღების თაობაზე უკრძალავს ტელეკომპანიის ამჟამინდელ მფლობელებს, გაყიდონ საკუთარი აქციები, ასევე გაყიდონ ან გააქირავონ ტელეკომპანიის ტექნიკური აღჭურვილობა, მანქანები და სხვა ქონება[102].

„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის განმარტებით, სასამართლოს განჩინებით, ტელეკომპანიას აეკრძალა ნებისმიერი სახის ურთიერთობა საბანკო ინსტიტუციებთან, ვერ აიღებს ვალს კერძო პირისგან, ვერ აიღებს კრედიტს ბანკისგან, და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვერ გააქირავებს მათ შენობებს, ეკრანებს და ა. შ., რაც გაქირავებული ჰქონდათ და იღებდნენ აქედან შემოსავალს[103].

,,რუსთავი 2-ის“ გენერალურმა დირექტორმა სასამართლოს განჩინებას უკანონო უწოდა და განაცხადა, რომ „რუსთავი 2“ სასამართლოს განჩინებას ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს. მან გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე, თამაზ ურთმელიძე ხელისუფლების დაკვეთის შესრულებაში დაადანაშაულა[104].

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა განმარტებით, სასამართლოს განჩინება ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ქონების დაყადაღების თაობაზე არ შეესაბამებოდა დასაბუთების სტანდარტს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას ყველა შემთხვევაში, როდესაც ერთმანეთის პირისპირ დგას არა მხოლოდ ორი კერძო სუბიექტის ინტერესი, არამედ ასევე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და მისთვის ზიანის შეუქცევადი ზიანის მიყენების საფრთხე[105].

---

[101] ვრცლად, იხ.: http://www.civil.ge/geo/article.php?id=29605

[102] იხ. საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტი: https://www.youtube.com/watch?v=kV8owR9jnKw

[103] იხ. იგივე წყარო.

[104] იხ. იქვე.

[105] იხ. საიას განცხადება: https://gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-samautsyeblo-kompania-rustavi-2-is-metsileebis-tsilebsa-da-kompaniis-qonebaze-yadaghis-dadebis-taobaze-01

ასევე, 2015 წლის 10 აგვისტოს გავრცელებულ განცხადებაში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება „გარკვეულ ხარვეზებს შეიცავდა“. ორგანიზაციათა განმარტებით, მართალია, დავა კერძო სუბიექტებს შორის მიმდინარეობდა, მაგრამ ის პოლიტიკურ გავლენებთან დაკავშირებით კითხვებს აჩენდა[106].

2015 წლის 30 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღო და „რუსთავი 2-ის“ წილის მფლობელი - ტელეკომპანია „საქართველოს“ ქონება დააყადაღა[107]. საპასუხოდ, „რუსთავი 2-მა“ მთავრობა საინვესტიციო გარიგების დაბლოკვაში დაადანაშაულა[108].

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ წევრმა 11-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ იგვლივ არსებული მთელი რიგი გარემოებები აჩენს სერიოზულ ეჭვებს მიმდინარე პროცესზე ხელისუფლების გავლენის შესახებ და მოუწოდა სასამართლოს, ტელეკომპანიის საკუთრებაზე დავა იმგვარად განიხილოს, რომ არ გამოიწვიოს ტელეკომპანიის საქმიანობის შეჩერება და მისი სარედაქციო დამოუკიდებლობის შეზღუდვა[109].

2015 წლის 3 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ „რუსთავი 2-ის“ გამართულ მუშაობას პრობლემები შეექმნა და ქართულ მედიაში განვითარებული მოვლენები სერიოზულ კითხვებს ბადებს[110].

2015 წლის 8 ოქტომბერს, აშშ-ის ელჩმა საქართველოში, იან კელიმ განაცხადა, რომ აშშ-მ შეშფოთება გამოთქვა საქართველოს მთავრობის მიმართ იმ ქმედებების შესახებ, რომელიც ისე ჩანს, რომ ზღუდავს მედიის თავისუფლებას[111].

2015 წლის წლის 19 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თამაზ ურთმელიძემ უარი თქვა „რუსთავი 2-ის“ საკუთრებაზე დავის საქმიდან თვითაცილებაზე, მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2-მა“ მას მოსარჩელის სასარგებლოდ მიკერძოებაში დასდო ბრალი. მოსამართლის აცილების თაობაზე შუამდგომლობა „რუსთავი 2-ის“ ადვოკატებმა დააყენეს. მათი შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე ორ არგუმენტს ეფუძნებოდა: ერთ-ერთი იყო სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მოსამართლის დედის წინააღმდეგ აღიძრა ოჯახურ საკითხთან დაკავშირებით. ამ საქმის გამო, მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებაზე შესაძლოა, გავლენა მოეხდინა მთავარი პროკურატურისგან სავარაუდო ზეწოლას. მეორე არგუმენტი იყო

---

106 არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება: http://www.transparency.ge/en/node/5428

107 თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება - იხ. საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტი: https://www.youtube.com/watch?v=3Mj9lJ2q96c

108 „რუსთავი 2-ის“ განცხადება - იხ. სტატია: http://www.civil.ge/geo/article.php?id=29735

109 იხ. ტელესიუჟეტი: https://www.youtube.com/watch?v=SL-LBWUH-JQ

110 პრეზიდენტის განცხადება იხ.: http://www.civil.ge/geo/article.php?id=29739

111 იხ: განცხადება: http://www.tabula.ge/ge/story/100280-ian-keli-rustavi-2-ze-chven-gavuziaret-chveni-sheshfoteba-sagartvelos-mtavrobas

მოსამართლის მეუღლის მიერ სოციალურ ქსელში ნიკა გვარამიას მისამართით გამოქვეყნებული რამდენიმე უარყოფითი კომენტარი[112].

21 ოქტომბერს ნიკა გვარამიამ ხელისუფლება შანტაჟში დაადანაშაულა, რომელზეც პროკურატურამ გამოძიება დაიწყო[113]. 22 ოქტომბერს, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" ეზოში მხარდამჭერებმა კარვები გაშალეს კარვები ტელეკომპანიის მზარდაჭერის გამოსახატავად. ამავე დღეს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აშშ-ს აშფოთებს ნებისმიერი ნაბიჯი, რომელმაც შეიძლება ტელეკომპანიის დახურვა გამოიწვიოს[114].

2015 წლის 2 ნოემბერს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ „რუსთავი 2-ის" თხოვნით სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების ნორმის მოქმედება შეაჩერა. საკონსტიტუციო მოსარჩელეები შიშობდნენ, რომ ქიბარ ხალვაშს შესაძლოა, სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება მოეთხოვა იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეს მოიგებდა[115].

2015 წლის 3 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ „რუსთავი 2-ის" საკუთრებასთან დაკავშირებული დავა ტელეკომპანიის ყოფილი მფლობელის ქიბარ ხალვაშის სასარგებლოდ გადაწყვიტა და ტელეკომპანიაში მისი საკუთრების უფლება აღადგინა[116]. ***<u>5 ნოემბერს, მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ გადაწყვეტილება მიიღო და „რუსთავი 2-ში" დროებითი მმართველები დანიშნა.</u>*** არსებულ მენეჯმენტს კი უფლებამოსილება შეუწყდა, რასაც მძაფრი საერთაშორისო რეაქციები მოჰყვა. ევროკავშირისა და აშშ-ის დიპლომატთა შეფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოშობს სერიოზულ კითხვებს საქართველოში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და მედიის თავისუფლების ხარისხთან დაკავშირებით[117].

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარკვეულ კითხვებს ასევე აჩენს საკონსტიტუციო სასამართლოში „რუსთავი 2"-ის საკითხის ფორსირებული განხილვა. ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ 2015 წლის **2 ნოემბერს,** საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა „რუსთავი 2"-ის სარჩელი, ხოლო მეორე დღეს - **3 ნოემბერს,** საქალაქო სასამართლომ ტელეკოპანიის საკუთრებასთან დაკავშირებული დავა ტელეკომპანიის ყოფილი მფლობელის, ქიბარ ხალვაშის

---

112 იხ. ტელესიუჟეტი: https://www.youtube.com/watch?v=CdF6BVvrkSo

113 „რუსთავი 2-ის" გენერალური დირექტორის განცხადება იხ.: https://www.youtube.com/watch?v=MpskQbeXpjg

114 იხ. ტელესიუჟეტი: https://www.youtube.com/watch?v=fqSMBwiHyIo

115 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი: http://www.constcourt.ge/ge/news/saqartvelos-sakonstitucio-sasamartlos-saoqmo-chanaweri-saqmeze-shps-samauwyeblo-kompania-rustavi-2-is-da-shps-telekompania-saqartvelo-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page

116 იხ. სტატია: http://www.civil.ge/geo/article.php?id=29852 ; ასევე - ტელესიუჟეტი: https://www.youtube.com/watch?v=ig8WFggABLo

117 იხ: შეფასება http://www.civil.ge/geo/article.php?id=29874

სასარგებლოდ გადაწყვიტა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, ქიბარ ხალვაში და მის მენეჯმენტი ვერ შეძლებს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, ვიდრე დავა ყველა ინსტანციაში არ დასრულდება.

არასამთავრობო სექტორის შეფასებით, ,,რუსთავი 2"-თან დაკავშირებული პროცესი მედიასაშუალების საქმიანობის შეზღუდვისა და კონტროლის მაღალ რისკებს შეიცავს"[118].

საყურადღებოა, რომ მედიაში გავრცელდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბარი ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" გენერალურ დირექტორთან, ნიკა გვარამიასთან. აუდიომასალის მიხედვით, სააკაშვილი გვარამიას მოუწოდებს თანამშრომლების გამხნევებისაკენ, რის შემდეგაც საუბარი ეხება „რუსთავი 2-ის" სასამართლო პროცესს და იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს, თუ საქმე მიდგება „რუსთავი 2-ის" წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ჩანაწერის მიხედვით, სააკაშვილი საჭიროდ მიჩნევს „რევოლუციურ სცენარს" - ბარიკადების აღმართვას, ხალხის დაცვისაკენ მოწოდებას, 2000-მდე კაცის მობილიზებას, რომ ტელეკომპანიის დაცვა „გაამაგრონ"[119].

„რუსთავი 2-ის" საქმეს აქტიურად ეხმაურებოდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციები. მათი განმარტებით, მთავრობამ და მართლმსაჯულების ინსტიტუტებმა უნდა დაიცვან მედიის თავისუფლებისა და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპები, რომელიც საქართველოს გაცხადებული მისწრაფებების განუყოფელი ნაწილია[120].

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 5 ნოემბრის გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოსამართლის მიუკერძოებლობას, არამედ ავლენს თავად სასამართლო სისტემაში არსებულ სერიოზულ პრობლემებს[121].

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თამაზ ურთმელიძემ 2015 წლის 12 ნოემბერს ნაწილობრივ შეცვალა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში დროებითი მმართველობის შემოღების შესახებ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ტელეკომპანიის ყოფილ მენეჯმენტს - გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას და ფინანსურ დირექტორს კახა დამენიას უფლებამოსილება აღუდგინა. გვარამიას და დამენიას მმართველობის უფლება სულ ცოტა იმ დრომდე აღუდგათ, ვიდრე სრულად არ ამოიწურებოდა

---

[118] იხ: ამ თემაზე: http://www.civil.ge/geo/article.php?id=29609

[119] ამ თემაზე ვრცლად, იხ. რადიო „თავისუფლების" სტატია: http://www.radiotavisupleba.ge/content/article/27334301.html

[120] საერთაშორისო გამოხმაურება „რუსთავი 2"-ის საქმეზე - იხ. Civil Georgia-ს სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18516&lang=geo

[121] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო განცხადება: http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-sagangebo-gancxadeba-telekompania-rustavi-2shi-droebiti-mmartvelebis-danishvnastan-dakavshirebit.page

დროებითი მმართველების დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურები[122].

2015 წლის 13 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმების მოქმედება შეაჩერა, რომლის საფუძველზეც მოსამართლემ ტელეკომპანია „რუსთავი 2–ში“ დროებითი მმართველების დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო[123].

ამჟამად, „რუსთავი 2-ის“ საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება.

23. რელიგიურ უმცირესობათა უფლებები

ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეშფოთება გამოხატა იეჰოვას მოწმეთა დევნის ფაქტებზე ქალაქ თერჯოლაში, რაც 2014 წლის ივნისში დაიწყო და 2015 წელსაც გრძელდებოდა. თერჯოლაში იეჰოვას მოწმეები განიცდიდნენ შევიწროებას ადგილობრივი თვითმმართველობისა და რადიკალურად განწყობილი მოსახლეობის მხრიდან, რაც გამოიხატებოდა მათთვის „სამეფო დარბაზის“ მშენებლობაში ხელის შეშლასა და რადიკალურად განწყობილი მოსახლეობის მხრიდან გამოვლენილ ძალადობის აღკვეთასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ნების არარსებობაში[124].

ასევე, შემაშფოთებელია, რომ თბილისში იაჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზი 2015 წლის ნოემბრის თვეში ორჯერ დაცხრილეს - 23 და 30 ნოემბერს. გამოძიება სხვისი ნივთის განხრახ დაზიანების მუხლით[125] დაიწყო, მაგრამ დანაშაულის ჩამდენი არ გამოვლენილა[126].

საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის დაზიანების ფაქტის შესწავლა, დაგმო 2015 წლის 23 ნოემბერს იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის დაზიანების ფაქტი და მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, აწარმოონ სწრაფი და ეფექტური გამოძიება ინციდენტში მონაწილე

---

[122] იხ. სტატია: http://www.civil.ge/geo/article.php?id=29901

[123] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი: http://www.constcourt.ge/ge/news/saqartvelos-sakonstitucio-sasamartlos-ganmwesrigebeli-sxdomis-saoqmo-chanaweri-saqmeze-shps-telekompania-saqartvelo-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page

[124] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18233&lang=geo

[125] სსკ-ის 187-ე მუხლი (სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება)

[126] იხ. ტელესიუჟეტი: http://rustavi2.com/ka/news/32557

პირების გამოვლენისა და მათთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების მიზნით.[127]

2015 წლის 3 მარტს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანგარიში - „რელიგიის თავისუფლება საქართველოში - პრობლემები, რეკომენდაციები". ანგარიშში ასახულია შედეგები პროექტისა „რელიგიის თავისუფლების ხელშეწყობა საქართველოში", რომელიც განხორციელდა კანადის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა რელიგიური შეუწყნარებლობისა და რელიგიის თავისუფლების დარღვევის სხვადასხვა ფაქტები, ასევე - რელიგიური დაპირისპირებისა და რელიგიური ნიშნით დევნის შემთხვევები, მათ შორის: ქალაქ ქობულეთსა და ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში - მოხეში, ჭელასა და ფლატეში. მონიტორინგმა გამოავლინა სამართალდამცავთა მხრიდან რელიგიური ნიშნით დევნის შემთხვევა იეჰოვას მოწმის მიმართ[128].

2015 წლის 15 მაისს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ფილმის - ***„მუსლიმთა პრობლემები საქართველოში"*** ჩვენება გამართა. დოკუმენტურ ფილმში ჭელაში, ფლატესა და მოხეში მომხდარი რელიგიური შეუმწყნარებლობის ფაქტები იყო ნაჩვენები. ფილმის ჩვენებას არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და რელიგიური უმცირეობების წარმომადგენლები დაესწრნენ. ფილმის ჩვენების შემდეგ რელიგიური უმცირესობების საკითხების შესახებ დისკუსია გაიმართა. შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ მუსლიმი თემის შევიწროება და დევნა გრძელდება. მუსლიმი თემის წარმომადგენლების განცხადებით, ადგილობრივ მოსახლეობას შორის პრობლემები კვლავ არსებობს, მაგრამ ეს მხოლოდ ხელისუფლების უმოქმედობისა და მართლმადიდებელი და მუსლიმი მორწმუნეებისთვის არათანაბარი პირობების შექმნის გამო ხდება[129].

2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 26 თებერვლის ჩათვლით ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა პროექტი - „რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება", რომლის ფარგლებშიც, დეკემბრიდან დაიწყო ვიზიტები რეგიონებში რელიგიურ უმცირესობათა საკულტო ნაგებობების მდგომარეობის შესასწავლად. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგელები რეგიონებსა და თბილისში ახორციელებენ ღვთისმსახურების ადგილების ფოტო და ვიდეო დოკუმენტირებას[130]. ვიზიტებისას, გამოიკვეთა პრობლემები ონის სინაგოგის ფუნქციონირებასთან[131]

---

[127] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება: http://ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-iehovas-mowmeta-samefo-darbazis-dazianebis-faqts-exmaureba.page

[128] ვრცლად, იხ.: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18177&lang=geo

[129] იხ. სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18284&lang=geo

[130] ინფორმაცია პროექტის შესახებ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18572&lang=geo

[131] იხ. სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18578&lang=geo

და სომეხთა სამოციქულო ეკლესიისათვის ტაძრების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით[132]. ასევე, საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიკვეთა ქუთაისსა და ბათუმში მდებარე კათოლიკურ ეკლესიებთან დაკავშირებით.

არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასებით, 2015 წლის განმავლობაში, რელიგიის თავისუფლების მდგომარეობა ქვეყანაში არსებითად არ შეცვლილა და არსებული სისტემური პრობლემების გადაჭრის მიზნით სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამს. რელიგიის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა არასეკულარულ და დისკრიმინაციულ მიდგომებს ეფუძნება და მართლმადიდებელი ეკლესიის ექსკლუზიურ პრეფერენცირებას ახდენს[133].

24. ლგბტ პირთა უფლებები

2015 წელს კვლავ აქტუალური იყო ლგბტ პირთა სოციალიზაციის პრობლემები. საქართველოში სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვაზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია თუ გაერთიანება მუშაობს[134], რომლებიც უფასო იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევენ ლგბტ ჯგუფებს. მათი მიზანია, უმცირესობათა მიმართ დისკრიმინაციული ფაქტების გამოვლენა და ინტერნალიზებული ჰომოფობიის დაძლევა.

როგორც ზოგიერთი ორგანიზაცია აღნიშნავს, ლგბტ თემის უმთავრესი პრობლემა მათი უფლებების შელახვა პოლიციის, სახელმწიფო უწყებების და მოქალაქეების მხრიდან. როგორც წესი, პოლიცია ლგბტ თემის მიმართ განხორციელებულ ძალადობას ხშირად მალავს და ფაქტს არ აკვალიფიცირებს, როგორც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს. როგორც წესი, პოლიცია წვრილმან ხულიგნობად განიხილავს მძიმე თავდასხმებს და შეხლა-შემოხლას[135].

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებით, ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტური გამოძიებისა და პრევენციის მიზნით, სამართალდამცავი ორგანოები არ უზრუნველყოფენ აუცილებელი სისტემური ღონისძიებების განხორციელებას. მათ შორის, სახელმწიფოს არ გააჩნია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური სტრატეგიები და სამოქმედო

---

132 იხ. სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18598&lang=geo

133 იხ. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის ანგარიში: http://emc.org.ge/2015/12/10/emc-2015-wels-ajamebs/

134 „იდენტობა“, „ლგბტ საქართველო“ და სხვები.

135 იხ. სტატია - ლგბტ პირების სოციალიზაციის პრობლემები: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18265&lang=geo

გეგმები; არ აწარმოებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ჩაღრმავებულ სტატისტიკას[136].

2015 წლის 26 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 27/32 რეზოლუციის „ადამიანის უფლებები, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა“ ფარგლებში წერილობითი მოსაზრება წარუდგინა. საქართველოს სახალხო დამცველის წერილობით მოსაზრებაში ასახულია საქართველოში ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელებისას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით უფლებადარღვევის ფაქტებს; ასევე, 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს განვითარებულ მოვლენებს[137].

2015 წლის 16 მაისს, საქართველოს სახალხო დამცველმა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა და ბოლო წლების განმავლობაში ჰომოფობიისა და ძალადობის გამოვლინებები დაგმო[138].

2015 წლის წლის 12 მაისს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არასამთავრობო ორგანიზაციაა „იდენტობის“ 2012 წლის 17 მაისთან დაკავშირებული საჩივარი დააკმაყოფილა და საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ განმარტა, რომ „ყველა არსებული სამხილის გათვალისწინებით, განმცხადებლებზე თავდასხმა 2012 წლის 17 მაისს, ჰომოფიბიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართული მსვლელობის დროს, წაქეზებული იყო მათ მიერ, ვინც მტრულად არის განწყობილი ლგბტ საზოგადოების მიმართ საქართველოში. აღნიშნულმა ძალადობამ, რომელიც ძირითადად სიძულვილის ენას და სერიოზული საფრთხის შექმნას, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას მოიცავდა, წარმოშვა შიში, მღელვარება და საფრთხე, რომელიც 13-მა განმცხადებელმა გამოსცადა. სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, რომლებიც ვალდებული იყვნენ, დაეცვათ დემონსტრანტები, მათ შორის - განმცხადებლები, ეს ვერ მოახერხეს[139]“.

---

[136] იხ. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის ანგარიში: http://emc.org.ge/2015/12/10/emc-2015-wels-ajamebs/

[137] საქართველოს სახალხო დამცველის წერილობითი მოსაზრება იხ.: http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/genderuli-tanasworoba/siaxleebi-wom/saqartvelos-saxalxo-damcvelis-werilobiti-mosazreba-gaeros-adamianis-uflebata-sabchosadmi.page

[138] სახალხო დამცველის განცხადება იხ.: http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/genderuli-tanasworoba/siaxleebi-wom/gancxadeba-homofobiasa-da-transfobiastan-brdzolis-saertashoriso-dgestan-dakavshirebit1.page

[139] საქმე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ იხ. ბმულზე: http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/155

2015 წლის 15 მაისს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ მიმართეს შსს-ს და მოუწოდეს, დაიცვას ადამიანების უსაფრთხოება და მომავალში უფრო ეფექტურად აღკვეთოს ნებისმიერი სახის ძალადობა და დისკრიმინაცია[140].

2015 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე არასამთავრობო ორგანიზაციებმა მრგვალ ბაღში აღნიშნეს. აქციის მონაწილეებს პოლიცია კორდონით იცავდა[141].

25. შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2015 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მომართავდნენ შშმ მოქალაქეები, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მათი სოციალ-ეკონომიკური უფლებების დარღვევაზე საუბრობდნენ[142].

2015 წლის 12 თებერვალს, ელექტრონულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ ეტლით მოსარგებლე ადამიანებმა, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე, ვერ შეძლეს ღონისძიებაზე დასწრება, ვინაიდან არ იყო გათვალისწინებული მათი საჭიროებები – არ მოხდა პანდუსების დამონტაჟება, რომელიც სპორტის სასახლეს აქვს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იძულებულნი იყვნენ, გადაადგილებულიყვნენ დაცვის თანამშრომელთა დახმარებით, რის გამოც, მათ პროტესტის ნიშნად დატოვეს დაწესებულება. სახალხო დამცველმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული ფაქტის შესწავლა[143].

2015 წლის 7 თებერვალს ადამიანის უფლებათა ცენტრის გურჯაანის ოფისში ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგ-კურსი სიძულვილის ენის პრობლემის შესახებ. ტრენინგს ესწრებოდნენ ჟურნალისტები, იურისტები, სტუდენტები, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები. საუბარი გაიმართა შშმ პირთა პრობლემების თაობაზეც. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შშმ პირებს აქვთ გარემოსთან ინტეგრაციის პრობლემა, ქუჩებში არ არის პირობები, რათა შშმ პირის ეტლმა თავისუფლად იმოძრაოს, უსინათლო კი დამოუკიდებლად გადაადგილდეს. პრობლემურია, ასევე, საზოგადოების შეხედულება შეზღუდული შესაძლებლობის პირების მიმართ. ჟურნალისტები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ შშმ

---

[140] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18268&lang=geo

[141] იხ. ტელესიუჟეტი: http://maestro.ge/menu_id/12/id/21553/lang/1/

[142] იხ. სტატიები: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18542&lang=geo და http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18198&lang=geo

[143] იხ.: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18144&lang=geo

პირების თემატიკის გაშუქებას. არ უნდა ხდებოდეს ამგვარი თემების დრამატიზება. ხშირად სიუჟეტებში უფრო შოუს ელემენტებია ნაჩვენები, ვიდრე რეალური პრობლემა. შედეგად, არასწორი გაშუქება საზოგადოებაში შშმ პირების შეცოდებას იწვევს[144].

26. შშმ მსჯავრდებულთა პრობლემები

2015 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრში შემოვიდა დაახლოებით 15 შშმ მსჯავრდებულის საჩივარი. საჩივართა უმრავლესობა ეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში შშმ პატიმრებისათვის არაადაპტირებულ გარემოს, რეაბილიტაციის პროგრამების არარსებობას, ადვოკატის ხელმისაწვდომობისა და სპეციალური საჭიროებების გაუთვალისწინებლობის პრობლემებს.

სახალხო დამცველის შეფასებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ არის დადგენილი კრიტერიუმები, რითაც შშმ პატიმრების იდენტიფიცირება იქნება შესაძლებელი. პრობლემაა, ასევე, საკნების ადაპტირების ნელი პროცესი. შშმ პატიმრებს შეზღუდული აქვთ ინფორმაციის მიღების საშუალებაც, უსინათლო პატიმრებს ინფორმაცია არ მიეწოდებათ ბრაილის შრიფტით. პენიტენციურ დაწესებულებაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სახელდება პერსონალის კვალიფიკაცია[145].

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეფასებით, პენიტენციურ დაწესებულებებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში შშმ პირთა მსგდომარეობის გაუმჯობესების კუთხით გაცემული რეკომენდაციები სრულად არ შესრულდა[146].

27. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და გამოძიების დაწყება

2015 წლის 13 ოქტომბერს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროკურორმა ფატუ ბენსუდამ ამავე სასამართლოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და შემდეგ ჩადენილ მძიმე დანაშაულების გამოძიების დაწყების თხოვნით

---

[144] იხ. სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18132&lang=geo

[145] შშმ მსჯავრდებულთა მდგომარეობის თაობაზე იხ. სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18556&lang=geo

[146] იხ. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/shezguduli-shesadzleblobis-mqone-pirta-uflebrivi-mdgomareoba-penitenciur-dawesebulebebshi-aranebayoflobiti-da-idzulebiti-fsiqiatriuli-mkurnalobis-dawesebulebashi-rekomendaciebis-shesrulebis-analizi.page

მიმართა. ფატუ ბენსუდამ 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულებს და მათ წარმომადგენლებს აცნობა, რომ 2015 წლის 12 ნოემბრამდე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებისათვის წარედგინათ მოსაზრებები გამოძიების დაწყების თაობაზე.

14 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ (FIDH) და ადამიანის უფლებათა ცენტრმა ერთობლივი პრეს-რელიზი გაავრცელეს და გამოძიების დაწყების მნიშვნელობა შეფასეს[147].

15 ოქტომბერს სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდეგ ჩადენილი დანაშაულების სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოძიება ხელს შეუწყობს სიმართლის დადგენას, მსხვერპლთა უფლებების აღდგენას და კონფლიქტის მხარეებსა და დაზარალებულ მოსახლეობას შორის სამშვიდობო პროცესების დაჩქარებას[148].

16 ოქტომბერს საქართველოში ვიზიტით მყოფმა ფატუ ბენსუდამ 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულ პირებს და მათ წარმომადგენლებს აცნობა, რომ 2015 წლის 12 ნოემბრამდე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებისთვის წარედგინათ თავიანთი პოზიცია გამოძიების დაწყებისთვის საჭირო საკითხებთან/საჭიროებებთან დაკავშირებით[149].

9 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები იმყოფებოდნენ სოფელ ნიქოზსა და ერგნეთში, სადაც აგვისტოს ომის დროს დაზარალებულებს შეხვდნენ. იურისტებმა დაზარალებულებს წერილობითი პოზიციები ჩამოართვეს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში გამოძიების დაწყების საჭიროებასთან დაკავშირებით.

12 ნოემბერს ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ორგანიზებით, რამდენიმე ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წერილობით მიმართა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. მიმართვას ხელს აწერენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო[150].

---

[147] FIDH-ისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი, იხ.: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18480&lang=geo

[148] იხ.: http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-2008-wlis-agvistos-saomari-moqmedebebis-dros-da-mis-shemdeg-chadenili-danashaulebis-gamodziebas-miesalmeba.page

[149] იხ. სტატია: http://www.tavisupleba.org/content/haagis-sasamartlos-prokurori-tbilisshi/27309953.html

[150] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა: http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=15&info_id=4326

ადამიანის უფლებათა ცენტრმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასწარი წარმოების პალატას 193 დაზარალებულის პოზიცია წარუდგინა და მსხვერპლთა სახელით მხარი დაუჭირა პროკურორის შუამდგომლობას გამოძიების დაწყების თაობაზე.

17-22 ნოემბერს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ დახმარებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული ჯგუფის უფროსი თამარ ავალიანი, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, ჰააგაში დაესწრო რომის სტატუტის მონაწილე წევრი სახელმწიფოების #14 ასამბლეას (ASP).

2016 წლის 27 იანვარს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ (ICC) პროკურატურის ოფისს გამოძიების დაწყების ნებართვა დართო[151].

28. შეწყალების უფლებამოსილების კვლევა

2015 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი - „შეწყალების მექანიზმის კვლევა საქართველოში“, რომლის მიზანიც იყო შეწყალების მექანიზმის გამჭვირვალე და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა[152].

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ევროპის 8 ქვეყნისა და აშშ-ის შეწყალების მექანიზმის მოდელები შეისწავლა. სხვადასხვა დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, ორგანიზაციამ გამოიკვლია საქართველოში არსებული შეწყალების მოდელი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოსავლენად.

ადამიანის უფლებათა ცენტრს აქვს შეწყალების საქმეებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება[153], რა დროსაც პრაქტიკაში გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები. მაგალითად, არის შემთხვევები, როცა შეწყალების კომისია მსჯავრდებულის შეწყალებაზე ერთხმად გასცემს დადებით დასკვნას, მაგრამ პრეზიდენტი უარს აცხადებს შეწყალებაზე. რიგ შემთხვევებში, კომისია ერთხმად იღებს უარყოფით გადაწყვეტილებას, მაგრამ პრეზიდენტი მაინც იწყალებს მსჯავრდებულს. ზოგჯერ პრეზიდენტი იწყალებს მსჯავრდებულებს შეწყალების კრიტერიუმების დაუცველად, განსაკუთრებული გარემოებების საფუძველზე. „განსაკუთრებული გარემოება“ გაწერილია დებულებაში, მაგრამ არ არის ნათელი და განჭვრეტადი მისი შინაარსი, რის გამოც მსჯავრდებულებს კითხვები უჩნდებათ.

---

[151] FIDH-ისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18634&lang=geo

[152] ვრცლად, იხ. პრესრელიზი: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18350&lang=geo

[153] 2015 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრმა დაახლოებით 60 მსჯავრდებულის საქმე წარუდგინა შეწყალების კომისიას.

2015 წლის 30 ივლისს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მრგვალი მაგიდა გამართა, თემაზე: „შეწყალების მექანიზმი საქართველოში - პრობლემები, გამოწვევები“. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე - შეწყალების კომისიის ამჟამინდელმა და ყოფილმა თავმჯდომარეებმა[154]. პროექტის მიმდინარეობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრმა კვლევის ადვოკატირება განახორციელა შეწყალების კომისიის წევრებთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან და სახალხო დამცველთან.

კვლევის შედეგად, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიიჩნია, რომ საქართველოში დღეს არსებული შეწყალების მოდელი არსებითად არ უნდა შეიცვალოს, მაგრამ აუცილებელია მისი დახვეწა, რათა პრეზიდენტის მიერ თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელება კითხვებს არ უჩენდეს საზოგადოებას - ხალხს, რომელიც არის ამ ექსკლუზიური უფლებამოსილების წყარო. ორგანიზაციის შეფასებით, შეწყალების ქართული მოდელი საჭიროებს გაჯანსაღებას დასაბუთებულობისა და განჭვრეტადი პროცედურების კუთხით, რაც შეწყალების ჰუმანურ მექანიზმს კიდევ უფრო ქმედითსა და ეფექტურს გახდის[155].

2015 წლის 7 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა პრემიერ-მინისტრის მოსაზრება პატიმართა შეწყალების უფლების საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის მინიჭების თაობაზე სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგისათვის საფრთხის შემცველად შეაფასა. ორგანიზაციის განმარტებით, შეწყალების უფლება დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფოს მეთაურის (პრეზიდენტი, მონარქი და სხვა) კონსტიტუციური დისკრეციაა. ამავდროულად, საქართველო არის სეკულარული სახელმწიფო, სადაც საერო და სასულიერო ხელისუფლება გამიჯნულია. შესაბამისად, სახელმწიფო საკუთარ სუვერენულ ფუნქციას სასულიერო ხელისუფლებას ვერ გადასცემს. ხელისუფლების წყარო არის ხალხი, რომელმაც პრეზიდენტს შეწყალების კონსტიტუციური პრეროგატივის განხორციელების უფლება მიანიჭა[156].

2015 წლის ბოლოს, შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა პარლამენტის წევრები - ეკა ბესელია და მანანა კობახიძე მასზე ზეწოლაში დაადანაშაულა. ელისაშვილის ბრალდების საფუძველზე, მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. ალეკო ელისაშვილის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს[157].

---

[154] მრგვალი მაგიდის შესახებ ვრცლად, იხ. სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18406&lang=geo

[155] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18569&lang=geo

[156] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18558&lang=geo

[157] ვრცლად, იხ. სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18608&lang=geo

29. სიძულვილის ენის გამოყენება არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოთქვეს ხელისუფლების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ განხორციელებული ზეწოლისა და სიძულვილის ენის გამოყენების გამო.

2014 წლის 1 მაისს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კამპანიაში „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“ ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციები „ქვეყნის იმიჯის შერყევაში“ დაადანაშაულა და მათ საქმიანობას „ძირგამომთხრელი“ უწოდა, რაც გახდა საფუძველი პოლიტიკოსთა მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული განცხადებებისა და ქმედებებისა[158].
2015 წლის 26 იანვარს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, ნინო ლომჯარიასა და ეკა გიგაურის, ასევე საიას ყოფილი თავმჯდომარის, კახა კოჟორიძის მისამართით მუქარის შემცველი განცხადება გააკეთა - დაანონსა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერებზე მაკომპრომატირებელი მასალების გამოქვეყნება[159].

არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ „ბიძინა ივანიშვილის განცხადება არის არა ერთი მოქალაქის, არამედ სახელმწიფოს არაფორმალური მმართველის პოზიცია. მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელების დაუსაბუთებელი რიტორიკა ხელისუფლების დეკლარირებული ღირებულებებიდან გადახვევაა. ეს განცხადებები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიზანმიმართულად წარმოებული კამპანიის შთაბეჭდილებას ტოვებს. მსგავსი დამოკიდებულება არა მხოლოდ ვნებს დემოკრატიულ ღირებულებებსა და იდეებს, რომლებსაც სამოქალაქო საზოგადოების წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები ემსახურებიან, არამედ აღნიშული ღირებულებების მოწინააღმდეგე ჯგუფებსაც აძლიერებს. აღნიშნული ტენდენცია უკიდურესად შემაშფოთებელია და სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას უშლის ხელს“[160].

ადამიანის უფლებათა სახლის ქსელისა და უფლებადამცელთა სამხრეთკავკასიური ქსელის წევრმა ორგანიზაციებმა მოუწოდეს საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებს, შეეწყვიტათ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ცილისმწამებლური განცხადებები, რომლებიც შეიცავდნენ დაუსაბუთებელ ბრალდებებსა და მინიშნებებს, თითქოს მათი საქმიანობა საფრთხეს უქმნის ქვეყანას. ორგანიზაციათა შეფასებით, 2013 წლის

---

[158] პრემიერ-მინისტრის განცხადების თაობაზე იხ. ტელესიუჟეტი: https://www.youtube.com/watch?v=ab9Gj1KokdY

[159] იხ. საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტი: https://www.youtube.com/watch?v=PFKG0_Z99Ls

[160] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებები: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18111&lang=geo და http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18234&lang=geo

ოქტომბრის შემდეგ, საქართველოს წამყვანი პოლიტიკური ლიდერების მხრიდან უფლებადამცველი ორგანიზაციების მიმართ სიტყვიერი თავდასხმები გახშირდა და სიტუაცია ემსგავსება სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას[161].

30. საკუთრების უფლების ხელყოფის განსაკუთრებული შემთხვევა

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არის საქმეები, სადაც საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტებია გამოკვეთილი. ერთ-ერთ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს მერაბ ჯიქიას საქმე.

2004 წლის ნოემბრიდან მერაბ ჯიქიას საკუთრებაში ჰქონდა თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზირზე მდებარე ბინა, რომელიც 2006 წლის გააქირავა ბინა ცოლ-ქმარზე. ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმდა კანონის სრული დაცვით. დამქირავებლებმა თაღლითური გზით ბინა გადაიფორმეს საკუთარ სახელზე და იპოთეკით დატვირთეს ბინა 37 000 აშშ დოლარად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2010 წლის 23 სექტემბრის განაჩენით, დამქირავებლები დამნაშავეებად ცნო და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ქონება დაბრუნდა მესაკუთრე მერაბ ჯიქიას სახელზე, სასამართლომ ბათილად არ ცნო იპოთეკის ხელშეკრულება. დაზარალებულის სტატუსის მიუხედავად, მერაბ ჯიქია დგას საშიშროების წინაშე, რომ მისი ბინიდან მოხდება აღსრულება და ბინა აუქციონზე გაიყიდება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (მომხსენებელი - ლევან მურუსიძე) დაუშვებლად ცნო მერაბ ჯიქიას საკასაციო საჩივარი.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ მერაბ ჯიქიას ბინის აუქციონზე გატანის თაობაზე აღსრულების ბიუროდან წერილი მიუვიდა, სადაც ბიუროს წარმომადგენელმა მას განუმარტა, რომ უფლებამონაცვლე პირია და იპოთეკარებისთვის კუთვნილი თანხების დასაბრუნებლად მისი ბინა აუქციონზე გაიყიდება.

[161] ადამიანის უფლებათა სახლების ქსელის მიმართვა, იხ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18217&lang=geo

31. უცხოელთათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული პრობლემები

2015 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრმა არაერთხელ გააკრიტიკა საქართველოს ლტოლვილთა სამინისტროს არასწორი პრაქტიკა უცხოელთათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ლტოლვილთა სამინისტროს უარი უცხოელთათვის თავშესაფრის მინიჭების თაობაზე არის უკანონო და დაუსაბუთებელი. სამინისტროს გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას უარის თქმის მიზეზების თაობაზე[162].

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს აზერბაიჯანის მოქალაქე დ.ა-ს და რუსეთის მოქალაქეს, ეთნიკურად ინგუშ ა.ე-ს, რომელთაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახილების სამინისტრომ დაუსაბუთებელი უარი უთხრა ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაწყვეტილებები დ.ა-სთვის და ა.ე-სთვის თავშესაფარზე უარის თქმის შესახებ არ შეიცავს დასაბუთებას უარის თქმის მიზეზებისა და იმ საფრთხეების თაობაზე, რის გამოც მათ უარი ეთქვათ სტატუსის მიღებაზე.

2015 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ლტოლვილთა სამინისტრომ მიზანშეუწონლად მიიჩნია ა.ე.-სთვის როგორც ლტოლვილის, ისე ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება იმ საფუძვლით, რომ რუსეთში არ ირღვეოდა ადამიანის უფლებები, არ ფიქსირდებოდა შიდა კონფლიქტის შემთხვევები და ა.ე-ს რუსეთში დაბრუნების შემთხვევაში, ადგილი არ ექნებოდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას.

2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დ.ა.-ს და მის ვაჟს უკანონოდ უარი ეთქვათ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე გაურკვეველი საფუძვლით. უარის შესახებ გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთების ნაწილს. ერთი მხრივ, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დაბრუნების შემთხვევაში, დ.ა. შეიძლება დაექვემდებაროს პოლიტიკურ დევნას, ხოლო მეორე მხრივ, სამინისტრო უარს ეუბნება მას ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოუწოდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, გადახედოს ლტოლვილთა/ჰუმანიტარული სტატუსების მინიჭების პრაქტიკას და უცხოელ მოქალაქეთათათვის საქართველოში თავშესაფრის მინიჭებაზე უარი დაასაბუთოს არგუმენტირებული დასკვნით; ამასთანავე, საქართველოს პარლამენტს და მთავრობას, დაინტერესდეს უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობით და

[162] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18552&lang=geo;;

შეცვალოს როგორც კანონმდებლობა, ისე პრაქტიკა, რათა ქვეყანაში აღმოიფხვრას უცხოელთა უფლებების შელახვისა და დისკრიმინაციის ფაქტები[163].

32. ვიზალიბერალიზაცია და მისი სიკეთეები

2015 წლის დეკემბერში მიღებული ვიზალიბერალიზაციის შესახებ ევროკავშირის დასკვნის თანახმად, უვიზო მიმოსვლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში მყოფ 22 ქვეყანაში შეძლებენ უვიზოდ მოგზაურობას, ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, იტალია, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი და ჩეხეთი. შენგენის ზონაში მყოფი ამ 22 ქვეყნის გარდა, ასევე, შესაძლებელი იქნება უვიზოდ მოგზაურობა შენგენის კანდიდატ ქვეყნებშიც. ასეთი ოთხი ქვეყანაა - ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი და ხორვატია.

უვიზო მიმოსვლა შესაძლებელი იქნება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებშიც - ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, შვეიცარია. აქაც აუცილებელი იქნება ბიომეტრიული პასპორტი.

33. შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება

2015 წლის 12 ივნისს, თბილისში, ჰეიდარ ალიევის სკვერში თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს და მის წევრ ორგანიზაციებს პოლიციამ უკანონოდ არ მისცა მშვიდობიანი აქციის გამართვის შესაძლებლობა. აქციის მონაწილეები აზერბაიჯანში ევროპული თამაშების გახსნას აპროტესტებდნენ მოწოდებით - „სპორტი ადამიანის უფლებებისთვის“. თხუთმეტამდე მშვიდობიან აქტივისტს ჰეიდარ ალიევის სკვერი პოლიციელებით შემოსაზღვრული დახვდათ და შესვლის შესაძლებლობა არ მიეცათ. ეს მაშინ, როცა სკვერში სხვა მოქალაქეებისთვის შესვლა დაშვებული იყო. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, პოლიციელებმა არ განმარტეს, რა სამართლებრივი საფუძვლით არ აძლევდნენ შესაძლებლობას აქტივისტებს, შესულიყვნენ სკვერში აქციის გასამართად. ერთადერთ მიზეზად ასახელებდნენ სხვა ღონისძიებას, რომელიც მოცემულ ადგილას უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რეალურად არც ეს აღმოჩნდა უტყუარი ინფორმაცია. შესაბამისად, აქციის ორგანიზატორებს უსაფუძვლოდ აეკრძალათ სკვერში აქციის გამართვა. საბოლოოდ პოლიციამ ისინი აიძულა, სხვა ადგილას (სკვერის მოპირდაპირე მხარეს) გადასულიყვნენ.

---

[163] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18552&lang=geo; ასევე - hridc.tv-ს სიუჟეტი: http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1124&lang=geo

საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წლის 12 ივნისის ინციდენტი შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების დარღვევად შეაფასა და პროკურატურას გამოძიების დაწყებისაკენ მოუწოდა[164].

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრმა ორგანიზაციებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობას და პარლამენტს შესაბამისი რეაგირებისა და დამნაშავეთა დასჯისკენ მოუწოდეს[165].

2015 წლის 16 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე, ოპერის წინ მდებარე სამშენებლო ღობეზე პლაკატების გაკვრის გამო, პოლიციელებმა ტვ „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი, არხის გენერალური პროდიუსერი ლექსო მაჭავარიანი და სტუდენტი სალომე ხვადაგიანი დააკავეს და მათ მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინეს. პლაკატებზე ბიძინა ივანიშვილისა და „გაზპრომის“ კარიკატურები იყო გამოსახული. საქართველოს სახალხო დამცველმა მათი დაკავება გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელ შეზღუდვად შეაფასა[166].

34. 13 ივნისის ტრაგედია

2015 წლის 13 ივნისს თბილისში რამდენიმესაათიანმა წვიმამ მდინარე ვერეს ადიდება გამოიწვია. შედეგად, მდინარე ნაპირებიდან გადმოვიდა და გმირთა მოედანი და მიმდებარე ტერიტორიები მთლიანად დატბორა. სტიქიას 20-მდე ადამიანი ემსხვერპლა, განადგურდა ზოოპარკი, ცხოველების ნაწილი დაიხრჩო, ნაწილის ლიკვიდირება კი გაქცევის შემდეგ მოხდა. განადგურდა გზის საფარი და ინფრასტრუქტურა. მთლიანობაში ზარალმა, დაახლოებით, 100 მლნ ლარს მიაღწია. სტიქიის გამომწვევ მიზეზებზე საზოგადოებაში სხვადასხვა მოსაზრებები გამოითქვა[167]. ტრაგედიის შემდეგ აღარ გრძელდება რამდენიმე გარდაცვლილი პირის ძებნა, რაც გარდაცვლილთა ოჯახების უკმაყოფილებას და პროტესტს იწვევს.

---

[164] იხ. სახალხო დამცველის განცხადება: http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-shekrebis-tavisuflebis-dargvevastan-dakavshirebit.page

[165] იხ. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მიმართვა: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18379&lang=geo

[166] იხ. სახალხო დამცველის განცხადება: http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saxalxo-damcveli-plakatebis-gakvris-gamo-sami-piris-dakavebas-exmianeba.page

[167] ვრცლად, იხ. სტატია: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18334&lang=geo

35. მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტა

2015 წლის 4 დეკემბერს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებით, საქართველოს ექსპრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. შესაბამის ბრძანებულებას ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი. ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის რეკომენდაციით პრეზიდენტს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მიმართა. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2015 წლის 30 ოქტომბრიდან დაიწყო იმის გამო, რომ საქართველოს ექს-პრეზიდენტი, ამჟამად ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი, უკრაინის მოქალაქე გახდა[168].

36. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები

2015 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ლევან კობიაშვილი აირჩიეს. ლევან კობიაშვილს მხარი დაუჭირა 18-მა დელეგატმა, 15-მა დელეგატმა - რევაზ არველაძეს, ხოლო მამუკა კვარაცხელიას მხარი არც ერთმა დელეგატმა არ დაუჭირა[169].

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების დღეს რამდენიმე დელეგატმა პროტესტის ნიშნად უარი თქვა რეგისტრაციის გავლაზე, რადგან არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე, ყრილობის დელეგატი და რეზი არველაძის მხარდამჭერი გეგა გობეჯიშვილი ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით დაკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ იგი 500 ლარით დააჯარიმა[170]. გეგა გობეჯიშვილის განმარტებით, ლევან კობიაშვილის წრიდან მეგობრებმა გააფრთხილეს, რომ მისი დაკავება იგეგმებოდა.

2015 წლის 3 ოქტომბერს, Holiday Inn-თან მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა კანდიდატების - ლევან კობიაშვილისა და რევაზ არველაძის მხარდამჭერი აქციები.

ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებს მთელი დღის განმავლობაში ესწრებოდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე, მიუხედავად იმისა, რომ იგი არჩევნებზე დასასწრებად მიწვეულ სტუმართა სიაში არ იმყოფებოდა[171], რაც

---

[168] ვრცლად, იხ. სტატია: http://www.radiotavisupleba.ge/content/margvelashvili-saakashvili/27407282.html

[169] იხ.: http://www.radiotavisupleba.ge/content/pekhburtis-pederatsia/27285260.html

[170] ვრცლად, ინფორმაცია, იხ: http://www.interpressnews.ge/ge/samartali/348085-advokati-gega-gobejishvili-usafudzvlod-hyavth-dakavebuli-da-misi-gamoshveba-gushinve-sheidzleboda.html?ar=A

[171] ვრცლად, იხ. სტატია: http://www.civil.ge/geo/article.php?id=29740

გარკვეულ კითხვებს აჩენდა პროცესის გამჭვირვალედ და სამართლიანად წარმართვის კუთხით.

37. საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ

2015 წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად ეხმაურებოდა სხვადასხვა სფეროში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს და საგამოძიებო უწყებებს მათი დროული და მიუკერძოებელი გამოძიებისკენ მოუწოდებდა. სახალხო დამცველმა რამდენიმე თემატური ანგარიში გამოაქვეყნა და სახვადასხვა დროს მოახდინა რეაგირება აქტუალურ პრობლემებზე.
სახალხო დამცველი აფასებდა სასამართლო რეფორმის საკითხებს, პენიტენციურ სისტემას, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პოლიტიკას, ბავშვთა და ქალთა უფლებებს, შშმ პირთა ხელმისაწვდომობის საკითხებს, შრომით უფლებებს, ძალოვანი სტრუქტურების მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს, გამოძიების არაეფექტურობას, რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებს, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს, მედიის თავისუფლებას და სხვა[172].

38. საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ

საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში კვლავ კეთდება აქცენტები სამართალდამცავი ორგანოების მიერ უფლებამოსილების გადამეტებაზე და უფლებადარღვევის სხვა ფაქტებზე.

Human Rights Watch-ის 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის თანახმად, საქართველოს არ გააჩნია სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებათა გამოძიების ქმედითი, დამოუკიდებელი მექანიზმი, რაც ხშირად იწვევს დამნაშავეთა დაუსჯელობას. ანგარიშში ნათქვამია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლება აგრძელებს ყოფილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის, თანამდებობის პირების წინააღმდეგ ათობით სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას, მედია პლურალიზმს საფრთხე შეუქმნა რამდენიმე თოქშოუს დახურვამ და დავამ „რუსთავი 2“-თან დაკავშრებით[173].

---

[172] სახალხო დამცველის მიმართვები იხ: http://www.ombudsman.ge/ge/news/0/80

[173] *Human Rights Watch*-ის ანგარიში: https://www.hrw.org/ka/world-report/2016/country-chapters/285007

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის 2015 წლის შეფასებით, საქართველოს სჭირდება შემდგომი ნაბიჯების გადადგმა სასამართლოს სისტემის რეფორმირებისა და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის კუთხით.[174] კომისრის განცხადებით, კვლავ პრობლემას წარმოადგენს პოლიციელთა მიერ განხორციელებული არასათანადო მპყრობის ფაქტები[175].

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2015 წლის 1 ოქტომბრის რეზოლუციით, უარყოფითად შეაფასა წინასწარი პატიმრობის არასათანადო გამოყენება, მათ შორის, პოლიტიკური კონკურენტების დისკრედიტაციისა განეიტრალების მიზნით[176].

გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2015 წლის ანგარიშის თანახმად, პენიტენციურ სისტემაში 2012 წლის შემდეგ ადგილი ჰქონდა ძირეულ ცვლილებებს, მაგრამ მომხსენებელი 2012 წლამდე ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სათანადო გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის აუცილებლობაზეც საუბრობს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომები არასაკმარისია და ნათქვამია, რომ ეს დანაშაულები დაუსჯელი არ უნდა დარჩეს[177].

---

[174] იხ: http://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgia-further-efforts-needed-in-justice-reform-and-combating-intolerance?inheritRedirect=true&redirect=%2Fen%2Fweb%2Fcommissioner%2Fcountry-report%2Fgeorgia

[175] იქვე.

[176] იხ: http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-EN.asp?fileid=22206&lang=en

[177] იხ: http://www.ohchr.org/EN/Issues/Torture/SRTorture/Pages/SRTortureIndex.aspx